619
1958/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 12 დეკემბერი 1958



პირველი თოვლი თბილისში

ფოტო გ. თიკანაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 12 (89) დეკემბერი, 1958 წ.

გამოცემის VIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

სკკპ ნოემბრის ისტორიული პლენუმის დადგენილებებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს მშრომელთა მოსახლეობაში. ყველა ფაბრიკა-ქარხანაში, კოლმეურნეობასა თუ სკოლებში იხილავენ და აღფრთოვანებით იწონებენ სახალხო მეურნეობის შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებსა და სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის პროექტებს.



თეთრი წყაროს საშუალო სკოლა-ინტერნატში.



თბილისის მექანიკური კონსტრუქციის ქარხანაში.




თბილისის ელექტრო-ავტომატიკის ქარხანაში.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

# პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად

ფოტო გ. თიკანაძისა და ე. ზლდნოვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები, ქუთაისის ავტომშენებლები და რუსთავის მეფოლადეები, ჭიათურელი მაღაროელები და ბათუმელი მენავთობეები, ტყიბულელი, ტყვარჩელელი და ახალციხელი მეშახტეები, რომლებიც დგანან პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომის ვახტზე, წარმატებით იბრძვიან გადიდებულ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის და ყოველდღიურად აღწევენ ახალ საწარმოო გამარჯვებებს.



ქუთაისი. ავტოქარხნის ერთ-ერთი საამქრო.

## ქუთაისი

წელსაც ქუთაისელებმა ათი თვის გეგმა ვადაზე ადრე და გადამეტებით შეასრულეს. ყრილობის აღსანიშნავად ქარხანამ იკისრა ვალდებულება 1958 წლის გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულოს, ხოლო იანვრის თვის გეგმა — ყრილობის გახსნის დღეს.

ყრილობას მიუძღვნეს ავტომშენებლებმა ახალი ტიპის გამწე „კაზ-606", რომლის საცდელი ნიმუში უკვე დამზადებულია. ამ მანქანას შეუძლია რვა ტონა ტვირთის წაღება, ახალი გამწეს სერიული გამოშვება 1960 წლისათვის არის გათვალისწინებული.

## ჭიათურა

სახეშეცვლილი და გალამაზებული ეგებება მშობლიური პარტიის XXI ყრილობას „შავი ოქროს" ქალაქი — ჭიათურა. ჭიათურა, სადაც კავშირში პირველად გაკეთდა საჰაერო საბაგირო გზა, მალე სულ მთლიანად დაიქსელება საჰაერო ლიანდაგებით, ყვირილის ნაპირზე ათი ათასი მაყურებლისათვის შენდება სტადიონი, მალე დამთავრდება კულტურის სახლისა და პიონერთა სასახლის მშენებლობა.

ამ წლის ბოლოსათვის გაუშვებენ ახალი ითხვისის მეორე რიგის მაღაროს, სადაც თითქმის ყველაფერი მექანიზებული იქნება.

ჭიათურელმა მაღაროელებმა ყრილობის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმა დეკემბრის თვისათვის შეასრულონ და სამშობლოს გეგმის ზევით მისცენ რამდენიმე ათასი ტონა მარგანეცი.

## ზესტაფონი

„წლიური გეგმა შესრულდეს 15 დეკემბრისათვის. გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 0,5%-ით, თვითღირებულების შემცირებით მივცეთ მილიონ ექვსასი ათასი მანეთის ეკონომია, დავზოგოთ ელექტროენერგია, მივცეთ ზეგეგმითი დაგროვება ხუთი მილიონ ორასი ათასი მანეთის რაოდენობით, დავნერგოთ ორმოცი რაციონალური წინადადება და ამის ხარჯზე მივცეთ ეკონომია 350 ათასი მანეთი" — აი, ასეთი ვალდებულებები იკისრა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად. ზესტაფონელებმა ყრილობამდე „უღალატეს" სიტყვას და ბევრით გადააჭარბეს დადებულ პირობას.

## ტყიბული

გ. ფორჩხიძე, ა. ბერიშვილი, ფ. ნესტორენკო, შ. დახუნდარიძე, ვ. კერესელიძე, ა. ხორხიმელიძე, ი. ხუციშვილი, ი. აბაშიძე, ა. გელაშვილი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი მოწინავე მეშახტე დგას დღეს ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე.

განსაკუთრებულ შრომითი აღმავლობით ეგებება ყრილობას გელათის შახტი, — სადაც ვალდებულება აიღეს წლიური დავალება 25 დღით ადრე შესრულდეს და სამშობლოს გადამეტებით მისცენ პროდუქცია.

გელათელებს არ ჩამორჩნენ ორჯონიკიძის სახელობის შახტის მშრომელები. აქ წელს გეგმის გადამეტებით სამშობლოს 5.000 ტონა ქვანახშირს მისცემენ და საექსპლოატაციოდ გადასცემენ ახალ სამთო უბანს.

## გორი

გორელმა მეკონსერვეებმა სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავად გადაწყვიტეს, რომ გეგმის ზევით კიდევ 300.000 ქილა კონსერვი გამოუშვან; დაზოგონ ნედლეული, შაქარი.. დაიწყეს საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მუშა-მოსამსახურეთათვის... ამ წარმატებებს აღწევს მთელი კოლექტივი. თუმცა კოლექტივის წევრთაგან მრავალი მოწინავეცაა, რომელთა შრომამ ქარხნის მიღწევების დროშა უფრო მაღლა ასწია. ქარხნის მოწინავეთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც აქ ჯერ კიდევ ქარხნის დაბადებასთან ერთად მოვიდნენ. ერთ-ერთი მათგანი — მხარშავი-მექვაბე კეკე წერეთელი წარმოებაში 1919 წლიდან მუშაობს, ასევე დიდი ხანია, რაც ქარხნის მარკას ემსახურება ძველი მუშა — მურაბის მხარშავი ზინა აბრამიშვილი. ქარხნის ეს ძველი მკვიდრები გეგმების გადაჭარბებით შესრულების ნამდვილი ოსტატები არიან. მათ არც მეორე, უფრო ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები — მარო განჩაველი და მარიამ მეტრეველი ჩამორჩებიან. მარიამ მეტრეველი მადლიერმა კოლექტივმა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს მსაჯულადაც წამოაყენა. ქარხნის მესამე, ყველაზე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები — დები ლილი და დარეჯან განჭელაშვილები საშუალო სკოლიდან პირდაპირ ქარხანაში მოვიდნენ. დღეს ორივე და სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგანან..



ტყიბული.
ქალაქის ცენტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აგარა.. შაქრის ფხვნილით სავსე ათასობით ტომარა უკვე საწყობშია.

* * *

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის კოლექტივის მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის აღსანიშნავად აღებულ ვალდებულებებს თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ კოლექტივს უკვე ბევრი რამ პირნათლად შეუსრულებია. აღებულ ვალდებულებათა ზოგიერთი მუხლი ლაპარაკობს: შესრულებულ იქნას წლიური გეგმა 21 დეკემბრისათვის, დამზადებული იქნას ქსოვილის 60 ახალი ნახატი, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე მიაღწიონ 1 მილიონ მანეთ ეკონომიას, გადაეცეს საექსპლოატაციოდ 2.000 კვ. მეტრი საბინაო ფართობი და მრავალი სხვა. უფრო მეტიც, ახლა გორელი ფეიქრები ფიქრობენ, რომ აღებულ ვალდებულებაზე გადაჭარბებით კიდევ 500.000 მეტრი ხამი ქსოვილი მისცენ სამშობლოს. ბევრი მოწინავე მუშა ჰყავს კომბინატს, რომლებიც პირნათლად ასრულებენ ყრილობისათვის აღებულ ვალდებულებებს. აი, ზოგიერთი მათგანიც: რამიშვილი ელზა — იგი დამხარისხებელ-საზერტყ საამქროში ცვლის ოსტატად მუშაობს. ელზამ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე კომბინატს მიაშურა. საამქროს ცვლა რომელსაც ის ხელმძღვანელობს ყოველთვიურად გეგმას საშუალოდ 130%-ით ასრულებს; და-ძმა — ნატო და ალექსანდრე ონიაშვილები: ნატო ონიაშვილმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბამბეულის კომბინატში წუნმდებლად დაიწყო მუშაობა და მასზე დაკისრებულ საქმეს წარმატებით ასრულებს. მისი ძმა ალექსანდრე კი კომბინატში უკვე კარგა ხანია რაც გრავერად მუშაობს. იგი საამქროს კომიტეტის თავმჯდომარედაც აირჩიეს. უფრო ადრე იგი ტაშკენტში გრავერების კურსებზე იყო და კვალიფიკაციას იმაღლებდა. მასთან ერთად იყო ტაშკენტში კომბინატის მოწინავე რაკლისტი ივანე წერუაშვილი — ახლა ისიც დაუბრუნდა მშობლიურ გორს და აქ უკვე ოსტატად მუშაობს.

## ა გ ა რ ა

აგარის შაქრის კომბინატის წინასაყრილობო პატაკი ლაპარაკობს: ჯერ კიდევ ყრილობის დაწყებამდე, ბევრად უფრო ადრე სამშობლოს გეგმის ზევით 150.000 ფუთ შაქარს მივცემთ, პროდუქციის თვითღირებულებას შევამცირებთ 1%-ით, უკეთ მოვკირწყლავთ, გავამწვანებთ და კეთილმოწყობილს გავხდით კომბინატის ტერიტორიასა და მის მისადგომებს... კომბინატის მიღწევათა ავტორები არიან მუშები, რომელთაგან თვითეულმა ნაცვლად 36.300 მანეთისა, საშუალოდ 59.000 მანეთის პროდუქცია შექმნა. ცვლა, რომელსაც ინჟინერი ი. იკოევი ხელმძღვანელობს, სადღელამისო დავალებებს 115-120 %-ით ასრულებს. მოწინავეთა რიგებშია, აგრეთვე, დიფუზიის ბრიგადა, რომელსაც აგარის მკვიდრი კლიმენტი დახოვსკი ხელმძღვანელობს. შაქრის საშრობი საამქროს კომკავშირელი მუშა ლენა ტატაევა ცვლაში სამოცდაათ ტონამდე შაქარს აშრობს. ამ რთულ და საფრთხილო საქმეს იგი პირნათლად ასრულებს. ცეცხლფარეში ივანე ხმალაძე კი ქარხანაში, ამ საწარმოს დაარსებიდან — 1931 წლიდან მუშაობს. აქ მას ყველა პატივისცემით ეპყრობა და აკი ამიტომაც მისი პატივისცემით გამსჭვალულ სიტყვებს ამბობენ: — ძია ივანე საამაყო კაცია, იგი ხომ სადღელამისო დავალებებს 200 და მეტი პროცენტით ასრულებს...

გორის ბამბეულის კომბინატი. ცვლის ოსტატი ე. რამიშვილი და მ ე მ ა ნ ქ ა ნ ე ზ. ვაჭრიძე მანქანასთან.





ის-ის იყო მზე ამოიწვერა და პირველი სხივები სტყორცნა თოვლიან მთის მწვერვალებს, როცა საგანგებო შიკრიკმა მოიტანა მთავრობის დეპეშა მშენებლობის ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ დასახლებულ პუნქტში. დეპეშა იუწყებოდა, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მეგვირაბეების ბრიგადირს ირაკლი ობოლაძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

...სადღაც მთის სიღრმეში თორმეტი-თხუთმეტი კაცი, მეტწილად დიდი ქალაქებიდან ჩამოსული კომკავშირელები, გვირაბს თხრიდნენ. თვითეული მეტრი დიდ შრომას მოითხოვდა. ძალთა კიდევ ერთი დაძაბვა, და წინ... ჩაქცეული ადგილი!

ერთადერთ, ალბათ, ძალზე სუსტ ნუგეშად შეიძლებოდა ის მიეჩნიათ, რომ ფათერაკი არც ისე მოულოდნელი იყო ინჟინრებისთვის და შემდეგში ბევრჯერაც განმეორდებოდა. ენციკლოპედიურ ლექსიკონშიც კი წერია: „კარსტული მოვლენები სერიოზულ დაბრკოლებებს ჰქმნიან სარკინიგზო და სამრეწველო მშენებლობაში“.

ერთ-ერთი ასეთი სიცარიელე მეტისმეტად უზარმაზარი აღმოჩნდა, უძირო უფსკრულივით. უნებლიეთ ყველამ უკან დაიხია. ბრიგადირი ირაკლი ობოლაძე არ ჩქარობდა. ამოიღო პაპიროსის კოლოფი და ამხანაგებს გაუწოდა: აიღეთ, ბიჭებო, მოსწიეთ! მერე თითქოს სხვათა შორის, ჩამოუგდო საუბარი თავისი ბრიგადის ახალგაზრდა წევრებს — ძველი ბრიგადა, ირაკლის თხოვნით დაშალეს, ხალხი დამოუკიდებელ სამუშაოზე დააყენეს — ზოგი ბრიგადირებად, ზოგი ცვლის ოსტატებად დააწინაურეს. ირაკლიმ თავისი საუბარი განვლილი დროის მოგონებებს დაუთმო. თან მალიმალ ხან საათს დახედავდა, ხან ბრიგადის წევრების მოღუშულ სახეებს შეავლებდა თვალს.

— სპეციალური საგზურები მაშინ არ იყო, უბრალოდ იტყოდნენ ხოლმე: ტარდება კომკავშირელთა მობილიზაცია ამა და ამ საქმისათვისო. და ყოველთვის პასუხი იყო — მზად ვართ სულითა და გულით შევასრულოთ დავალებაო!

ერთ-ერთი ასეთი მობილიზაციის დროს ახალგაზრდა, მარჯვე მნგრეველი ირაკლი ობოლაძე ტყიბულის ქვანახშირის შახტებიდან რიონჰესის მშენებლობაზე მოხვდა.

ირაკლისთან ერთხელ სანგრევში ჩავიდა მ. კალინინი, რომელიც დასავლეთ საქართველოში პირველი ელექტროსადგურის საძირკვლის ჩაყრაზე დასასწრებლად ჩამოსულიყო. ნაცნობობა დიდხანს გაგრძელდა. ობოლაძე ორჯერ იყო მოსკოვს, და კრემლში მ. კალინინმა ორჯერ გადასცა მას ორდენები — შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის. ლენინის ორი ორდენი და სტალინური პრემიის ლაურეატობის მედალი ირაკლიმ უკვე შემდეგში დაიმსახურა — ომისშემდგომ წლებში.

რიონის შემდეგ ირაკლი ობოლაძე ხრამის სათავეში მოხვდა. იქ შენდებოდა იმ დროისათვის მეტად მაღალი წნევის მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგური. ირაკლის თან მთელი ბრიგადა გაჰყვა — ოცდაათი კაცი.

ის იყო გაიშალა მუშაობა, და ომიც დაიწყო. ობოლაძემ მოითხოვა — ფრონტზე გამიშვითო.

რაიონულმა სამხედრო კომისარიატმა უარი უთხრა. ირაკლი ობოლაძემ რესპუბლიკურ სამხედრო კომისარიატს წერილობით მიმართა: 1924 წელს ლენინურ კომკავშირში შევედი, 1931 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრი ვარო...

პასუხი სწრაფად მოვიდა; ასეთ სისწრაფეს ობოლაძე არც მოელოდა, ამიერკავკასიის შტაბის განკარგულებით ირაკლი ობოლაძე სხვა მეგვირაბეებთან ერთად თვითმფრინავით გადაყვანილ იქნა კავკასიის დაცვის მოწინავე ხაზზე. მტრის ავიაციისა და არტილერიის ცეცხლის ქვეშ ობოლაძე და მისი ამხანაგები აშენებდნენ მნიშვნელოვან თავდაცვის ნაგებობებს, მთის ვიწრობებსა და ხერხებს მიუვალ და გადაულახავ ზღუდეებად აქცევდნენ.

ნალჩიკში ობოლაძემ მიიღო საბრძოლო ნათლობა: აღადგინეთ აფეთქებული, განადგურებული ბაქსანის ჰესიო. და ირაკლიმ აქვე ჩამოთვალა ამხანაგები: ვანო აივაზოვი — მოჰკლეს უღელტეხილზე, ალექსანდრე გიორგაძე — გმირთა სიკვდილით დაეცა თერგზე, ფროლ კუდრიავცევი—ავიაყუმბარამ მოჰკლა ყაბარდოში.

— მეგვირაბეების ცხოვრებაში ყველაფერი ხდება,—დაასრულა თავისი თხრობა წარსულზე ირაკლიმ და აქვე სრულიად უბრალოდ თქვა:

— აბა, გავსწიოთ, ამხანაგებო! ჩვენ უფლება არა გვაქვს შეჯიბრებაში ჩამოვრჩეთ მიხეილ სერდობინცევს. იცით, რა ბიჭები დაუჯროვდა მას, — ცეცხლს აფრქვევენ თვალებიდან!

შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ ის იყო როგორც იქნა თავი გაართვეს ამ საქმეს, ხახადაბჩენილი უფსკრული დააბეტონეს და განაგრძეს შემდგომი მუშაობა, უეცრად ახალი უბედურება დაატყდათ თავს: რამდენიმე საათიც არ დაცლიათ, მეგვირაბეებს მიწისქვეშა წყლის მძლავრი ნიაღვარი მოაწყდა.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოუხდათ ამ მიწისქვეშა ნაკადებთან გამკლავება ერთსა და მეორე ბრიგადასაც. რაკი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ბუნება არავითარ შემთხვევაში არ დაუთმობდა და ხელს შეუშლიდა მუშაობაში, ობოლაძისა და სერდობინცევის ბრიგადები მოულოდნელად სრულიად ახალ გზას დაადგნენ

— ყოვლად დაუშვებელია ამ სიძნელეების გამო, რომლებიც ჩვენს მუშაობას აფერხებენ, ჰიდროელექტროსადგურის გაშვების ვადა გადავწიოთ. ამიტომ დაგვრთეთ ნება ნგრევა ვაწარმოოთ დამრეც გვირაბში ახალი ხერხით: სერდობინცევის ბრიგადა ზემოდან ქვემოთ წამოვა, ობოლაძის მეგვირაბეები კი, მათ შესახვედრად, ქვემოდან ზემოთ გაემართება. ქანის გასატანად წყლის ძალას გამოვიყენებთ, რაკი ეს წყალი ასე ბლომადაა სამუშაო ადგილებში. უფრო სწრაფადაც წავა საქმე და გაცილებით იაფიც დაგვიჯდება.

ბოლოს დადგა უკანასკნელი წუთები. გვირაბები ერთმანეთს შეხვდნენ შვიდი სანტიმეტრის სიზუსტით. ათეულობით კუნთმაგარმა, მძიმე შრომაში გამოვლილმა ხელებმა აიტაცეს ობოლაძე და სერდობინცევი და, ძველი მუშური ტრადიციის მიხედვით, ჰაერში რამდენჯერმე ააბურთავეს.

...როგორც კი ეგრეთ წოდებული ტყიბულის ზღვის ნაპირებზე მხიარულად აციმციმდნენ ახალი ელექტროსადგურის ნათურები, ირაკლი ობოლაძის მეგვირაბეთა ბრიგადამ კვლავ აიკრიბა, გუდა-ნაბადი და გზას გაუდგა. დიდი ხნის შემდეგ ირაკლი ისევ მდინარე ხრამის ნაპირებს დაუბრუნდა. საჭირო იყო მეორე ელექტროსადგურის აგება ამ არცთუ ისე დიდ და არც მაინცდამაინც წყალუხვ მდინარეზე, სამაგიეროდ აქ წყალი მეტად დამრეც კალაპოტში მიექანებოდა. ცნობილია, რომ რაც უფრო ციცაბოა კალაპოტი, რაც უფრო დიდი სიმაღლიდან ეშვება წყალი, მით უფრო ძლიერია ის. ხშირად მძლავრი ტურბინების ასამოძრავებლად და დიდი რაოდენობის ელექტროენერგიის მისაღებად საკმარისია წყლის მცირე რაოდენობა, ოღონდ ეს წყალი დიდი სიმაღლიდან უნდა ვარდებოდეს.

გადაწყდა: ახალი ჰიდროელექტროსადგური ხრამზე გამოიყენებს № 1 ხრამის ჰესის ნამუშევარ წყალს და ერთად თავს მოუყრის მრავალ მთის ნაკადებსო. ეს რომ სინამდვილედ ქცეულიყო, საჭირო იყო თრიალეთის ქედის ფენაში ძალზე ღრმად შეჭრა, მრავალი გვირაბის გათხრა. ვისთვის უნდა მიენდოთ ეს ძნელი, წარმტაცი, გმირული საქმე, თუ ირაკლი ობოლაძის ბრიგადისთვის არა!

ობოლაძე მეორედ რომ დაუბრუნდა ხრამის ნაპირებს, მასთან ერთად მისმა ვაჟმა — თეიმურაზმაც დაიწყო მუშაობა, რომელმაც ის-ის იყო მაშინ დაამთავრა თბილისის საშუალო სკოლა. ასეთი მნიშვნელოვანი ამბის აღსანიშნავად, მამამ და შვილმა გადაწყვიტეს ჯერ არნახული რეკორდული სისწრაფით გაეყვანათ გვირაბი. აქამდე არსად არც ერთ მშენებლობაზე არ მომხდარა, რომ მეგვირაბეებს თვეში ოთხმოცდაათ მეტრზე მეტი გვირაბი გაეთხაროთ. ირაკლი ობოლაძემ კი გვირაბის გათხრაში მიაღწია 120 და ზოგჯერ 150 მეტრ სიჩქარეს.

და აი, ჩვენს გვერდითაა ირაკლი ობოლაძე, რომელიც ოცდაათი წლის წინათ მოვიდა გვირაბის სამუშაოებზე. გვირაბმა ყველაფერი მისცა მას — მატერიალური კეთილდღეობა, ოჯახური ცხოვრების ბედნიერება, მამის სიხარული, ხალხში დიდება, სახელი და პატივისცემა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მანდატი, და ახლა გმირის ოქროს ვარსკვლავიც.

# გვირაბი

# აქ ამზადებენ სამკურნალო პრეპარატებს

მ. ჭიჭინაძე

ბევრს, ალბათ, არც გაუგია, რომ თბილისის ერთ-ერთ განაპირა უბანში, ისეთი საწარმოც არის, სადაც ადამიანის სამკურნალო პრეპარატებს ამზადებენ. ეს ორგანო-თერაპევტიული პრეპარატების ქარხანა მიქოიანის სახელობის თბილხორცკომბინატთან არსებობს 26 კომისრის რაიონში. აქ მზადდება ჰემატოგენი, ფოლიკულინი, კუჭის წვენი, კამპოლონი, სამედიცინო პეპსინი, საბავშვო ჰემატოგენი, მიოლი და სხვა დიდმნიშვნელოვანი სამკურნალო პრეპარატები. თავისი არსებობის თორმეტი წლის მანძილზე ქარხანამ რამდენიმე ახალი სამკურნალო პრეპარატი შექმნა.

ქარხნის ისტორია ასეთია: 1938 წელს თბილისის ხორცკომბინატის ტერიტორიაზე ააგეს თხევადი ჰემატოგენის საამქრო, რომელსაც დიდი სამამულო ომის პერიოდში ფართო მოხმარების სამკურნალო პრეპარატების საამქრო შეემატა. აქვე იწყება ჟელატინის წარმოება, რომელიც იხმარება სისხლის დენის შესაჩერებლად და კუჭის გასტრიტის საწინააღმდეგოდ.

1944 წელს საამქროების ადგილას დაიწყო თერაპევტიული პრეპარატების ქარხნის მშენებლობა. მწყობრში ჩადგნენ სისხლის პრეპარატების, ფერმენტების, სტერიული პრეპარატებისა და ექსტრატების, ნედლეულის მიმწოდებელი, ფოლიკულინისა და ამპულების ჩამომსხმელი საამქროები.

დიდი ამოცანები დაისახა ახალი ქარხნის კოლექტივის წინაშე. გაიშალა შემოქმედებითი მუშაობა და აი, 1945 წელს საწარმომ პირველი პროდუქცია გამოუშვა.

საწარმო რომ თავიდანვე ხორცკომბინატის ბაზაზე შეიქმნა, ეს შემთხვევითი ამბავი როდი იყო. საქმე იმაშია, რომ აქ სამკურნალო პრეპარატებს მხოლოდ და მხოლოდ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სისხლისაგან და შიგნეულობისაგან ამზადებენ.

საქონლის კუჭი, თირკმელების დანამატი, ღვიძლი, კუნთოვანი ქსოვილები, ჰიპოფიზი, სისხლი უწინ მხოლოდ საკვებ პროდუქტებად იხმარებოდა, ზოგი მათგანი კი სრულიად უვარგის ნივთიერებად ითვლებოდა. აბა ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ საბჭოთა მედიცინაში ისინი დიდ გამოყენებას ჰპოვებდნენ.

დიდი შრომა დასჭირდათ მედიცინის მუშაკებს, ეს ნედლი მასალა რომ ადამიანის სამკურნალო წამლებად ექციათ.

აი, თბილხორცკომბინატის სასაკლაო. ქარხნის თანამშრომლებს საქონლის დაკვლის პროცესი არასდროს არ გამოეპარებათ. სისხლის ასაღები სპეციალური დანებით შეიარაღებული ქალები ყოველთვის მზად არიან ამ მომენტისათვის. მათ დიდი სიფრთხილე მართებთ — სისხლი სწრაფად და სუფთად აღებას საჭიროებს.

ამ რთულ სამუშაოს ისინი მართლაც ოსტატურად ასრულებენ. ივსება თუნუქის კასრები, რომლებიც შემდეგ სწრაფად გადააქვთ სისხლის პრეპარატების საამქროში. იქ სპირტითა და ცხელი წყლით საგულდაგულოდ გაწმენდილ დიდ ქვაბებში ჯერ ასხამენ განსაზღვრული რაოდენობით გაფილტრულ სპირტს, ბადაგს და გლიცერინს, შემდეგ კი, როცა მათ ერთმანეთში კარგად აურევენ, საქონლის ახალ სისხლს ჩაუმატებენ, არომატისათვის კი ვანილს ურთავენ.

აქედან უკვე იწყება დაკონსერვებული სისხლის გადასხმა 250 გრამიან ბოთლებში, რამდენიმე წუთის განმავლობაში ასობით ბოთლი ივსება, აქვე ეწყობა მათი გასტერილება +52 ტემპერატურიან წყალში.

თხევადი ჰემატოგენი უკვე დამზადებულია. ბოთლებს აკრავენ ეთიკეტს, რომელზედაც ქართულ და რუსულ ენებზე წარწერილია — „თხევადი ჰემატოგენი. თბილისის ორგანო-თერაპევტიული პრეპარატების ქარხანა".

ქარხნის ნაწარმი სისტემატურად იგზავნება ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში, საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დიდ ქალაქსა და ორმოც ოლქში. ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანის ვრცელ სანაპიროზე, თუ შორეულ კამჩატკაზე, ყველგან შეხვდებით თბილისის ქარხანაში დამზადებულ სამკურნალო პრეპარატებს.

ქარხნის კოლექტივი დამსახურებულად ამაყობს თავისი მოწინავე ადამიანებით. საქმის ცოდნით გამოირჩევიან ინჟინერი თ. კისლენკო, ფარმაკო-ქიმიკოსი ნ. ჟღენტი, ვეტექიმი გ. ჯიქია, ინჟინერი-ქიმიკოსი ვ. სახელაშვილი, ოსტატები და მუშები ე. ჯანაშვილი, ა. ანდრუშენკო, მ. ჯილავდარიანი, ო. ტაბუევა და სხვები.

— აი ერთი შესანიშნავი სპეციალისტი, — გვანიშნებს ქარხნის დირექტორი ამხ. ა. გუდიაშვილი მუშაობაში გართულ თეთრხალათიან ახალგაზრდაზე.

საშუალო ტანის ქერათმიანი ჭაბუკი უმალ მიხვდა, რომ მასზე ვსაუბრობდით, მან თავი ასწია და ოფლით დაცვარული შუბლი მოიწმინდა.

— ეს ახალგაზრდა არის სტერიული პრეპარატებისა და ექსტრატების საამქროს უფროსი, რაციონალიზატორი-გამომგონებელი გრიგოლ ვაინშტეინი, — გაგვაცნო დირექტორმა ჭაბუკი.

მეშვიდე წელია, რაც გრიგოლი აქ მუშაობს. მისი საამქრო ხშირად გამოსულა გამარჯვებული უხვი პროდუქციისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ორი წლის წინათ მან შესანიშნავი რაციონალიზატორული წინადადება განახორციელა. გააუმჯობესა სამედიცინო კამპოლონის დამზადების პროცესი. მანამდე თუ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის 600 კგ. ღვიძლისაგან მზადდებოდა სამედიცინო კამპოლონის 6.000 ცალი ამპულა, გრიგოლმა სამი თვის დაძაბული მუშაობის შედეგად მიიღო იგივე რაოდენობის კამპოლონი 400 კილოგრამი ღვიძლისაგან. ამით მან სახელმწიფოს წელიწადში 35.000 მანეთის ეკონომია მისცა.

გ. ვაინშტეინი ამ რაციონალიზატორული წინადადებისათვის პრემიაზე წარადგინეს. საწარმოს კოლექტივს კი სიხარული მოჰგვარა მოსკოვიდან მიღებულმა ცნობამ, იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის ქარხნებში სამედიცინო კამპოლონს ახლა თბილისელი გ. ვაინშტეინის მეთოდით ამუშავებენ, რომ მარტო თბილისის ქარხანა სამშობლოს სამედიცინო კამპოლონის მთელი პროდუქციის 30%-ს აწვდის.

არა ნაკლებ თვალსაჩინოა გ. ვაინშტეინის აღმოჩენა. მან ზღვის ცხოველების ღვიძლისაგან საბჭოთა კავშირში პირველმა მიიღო კამპოლონი. მის მიერ შექმნილ ახალ სამკურნალო პრეპარატს მაღალი შეფასება მისცა სამედიცინო პრეპარატების სახელმწიფო სამეცნიერო კომისიამ. ეს ახალი [illegible] კამპოლონი, რომელიც იხმარება ავთვისებიანი სისხლნაკლოვანებებისათვის, თბილისის ქარხანამ ახლახან გამოუშვა პირველად.

ნიჭიერ ახალგაზრდა მუშაკებს არც ქარხნის უხუცესი თანამშრომლები ჩამორჩებიან. ფერმენტების საამქროს უფროსი ინჟინერი ო. ფოცხიშვილი 60 წლისაა, მაგრამ მიუხედავად ხანდაზმულობისა, მაინც კვლავინდებური ენერგიით მუშაობს.

ერთი კილოგრამი პეპსინის მისაღებად ქარხანა რომ ახლა 16-20 კილოგრამ საქონლის კუჭის ლორწოვან გარსს ხარჯავს ნაცვლად 40 კილოგრამისა, ეს მიღწევა სწორედ ო. ფოცხიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. პეპსინი კი როგორც ცნობილია, გარდა იმისა, რომ სამკურნალოდ იხმარება, შესანიშნავ ნედლ მასალადაც ითვლება მაღალხარისხოვანი ყველის მისაღებად. უკვე მეოთხე წელია, რაც საწარმოში პეპსინის მიღების ეს ახალი ხერხი დაინერგა. ამ ხნის განმავლობაში კი ქარხანამ ასეულათასობით მანეთი მოგება მისცა სამშობლოს.

ხორცკომბინატთან არსებული ორგანო-თერაპევტიული პრეპარატების ქარხანა





# ტყის მარწყვი

გ. შაგბერაშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი თ. მირზაშვილი

ნიში ჩამონგრეული იყო, მაგრამ ძველებური ტლანქი აგურით ნაშენი პატარა, თაღიანი განჯინა უვნებლად გადარჩენოდა ჟამთა სიავეს. განჯინის შემჭვარტლული, სანთლის ღვენთით მოხატული კედლები შავად გამოიყურებოდა.

ძველი, გაცრეცილი ხის ხატის წინ ხმელი ხილი, ჩურჩხელები, რამდენიმე დამჭკნარი ვაშლი და მამლის თავები ეყარა.

ილომ საველე ჩანთა იქვე მიაგდო, ნიშს მიუახლოვდა, განჯინაში შეიხედა, ჯოხით მიჩხრიკ-მოჩხრიკა და ღიმილით წამოიძახა:

— მამლის თავები წმინდა გიორგისთვის შეუწირავთ, შემწვარი ტაბაკები კი თვითონ მიურთმევიათ!.. აი, ცეცხლი აქ ნთებიათ...

იგი ნიშის გვერდით, უზარმაზარი მუხის ჩრდილში გულაღმა წამოწვა, ფეხები გაშალა, ხელები თავქვეშ ამოიდო და თვალი ცას მიაშტერა.

— ჩამოჯექ...

თერა ლოდზე ჩამოჯდა.

გზისპირებზე ტყე შეთხელებულიყო, ამიტომ მიწას მზე და ჩრდილი ჭრელად მიჰფენოდა. როცა ნიავი ხეთა კენწეროებს გადასწევდა, ჩნდებოდა გაზაფხულის მაღალი, კრიალა ცა. ილო ამ მაღალ ცას შესცქეროდა, იღიმებოდა, თვალებგაშტერებული, თავისთვის ლაპარაკობდა, თითქოს დავიწყებოდა, აღარ ახსოვდა, რომ იქვე ახლოს ქალიშვილი იჯდა. როგორ გაუხარდა წელან მისი მოულოდნელი გამოჩენა... გაუხარდა თუ გაუკვირდა?.. საოცრად გაუფართოვდა ირიბად გაჭრილი თვალები.

ახლა კი გაუნძრევლად წევს მწვანე კორდზე, ხელები თავქვეშ ამოუდვია, ცას შესცქერის და თერასკენ აღარ იხედება.

ტყე უცნაურად, წყნარად ხმაურობდა. თერა ამ ხმაურს უსმენდა. ვერ გაეგო, ნიავი ამოვარდნილიყო, ხეებს აშრიალებდა თუ ილოს საუბარს იმეორებდა დაჩურული ულრანი.

უცებ თერამ ცას ახედა. მზეს კარგად მოეარა, სამხრეთ წერტილს უახლოვდებოდა.

— ზურგით ფიჩხის ტარება გავიჭირდება.—თქვა ილომ და წამოდგა. ქამრიდან პატარა კოხტა ნაჯახი წაიძრო, იქვე ბუჩქიანში ყეყელად ამოსული ნორჩი თეთრრცხილა მოსჭრა და წვეროები მოკლედ წაახსიპა, მერე, სწორედ ძირის გადანაჭერთან, საიდანაც ორტოტი იწყებოდა, ხეს გამოცხვირვა დაუწყო.

თერა თავს წასდგომოდა გამალებით მომუშავე ჭაბუკს, უკვირდა, ახარებდა მისი მარჯვე ხელი. ეს ხელი ახლა ქვეყანაზე ყველა მარჯვენას ერჩივნა.

ილომ ჯერ ერთი მხრიდან ცულის პირის სიღრმეზე ამოანაფოტა ხის ძირი, მერე მეორე მხრიდან. როცა ფოსოებს შუა გაჩენილ ჭუჭრუტანაში შუქმა გაიარა, ილომ დაიჩოქა, შიგ ცულის ტარი გაუყარა, ძალა დაატანა, რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა და ნაცხვირი გააგანიერა.

— ჰა და ჰა, მალე შენი ციგა მზად იქნება!

ციგა...

თერას ზამთარი გაახსენდა. პაპა მიხას გამოთლილი ციგა, თოვლზე სრიალი. რატომღაც გული ხწყდებოდა, თითქოს ბავშვობა სადღაც მიფრინავდა. იღიმებოდა თან თვალს არ აშორებდა ჭაბუკს.

ილომ ტევრიდან რამდენიმე ღერი შინდლერწა გამოიტანა, მარჯვედ დაგრიხა, ლაზლის ჭრელ აპეურებს დაამსგავსა, და ნაცხვირში გაუყარა. მერე სიმაგრისათვის ერთმანეთს შეაგრიხა და თავში ხელის მოსაკიდებლად მოზრდილი მარყუჟი გაუკეთა. ამასაც რომ მორჩა, ფიქრში წასულ თერას ქეშად ახედა და ღიმილით შეუტია:

— რას მიყურებ, გოგო, მოაგროვე ფიჩხი!

თერა დატრიალდა. ნაკაფში ხმელ ფიჩხს აგროვებდა და ღიღინებდა. თავს ბედნიერად გრძნობდა. მის გვერდით გულის ნატრული ვაჟკაცი მისთვის ოფლს ღვრიდა, ესმოდა მისი შეკავებული ქშენა, ხუმრობა-წამოძახილი, ნაჯახის კაკუნი. ამ ნაჯახს ილოს ღონიერი მარჯვენა იქნევდა...

ილოს ციგისათვის ძირი გამოექსოვა, ყეყელის ტოტსა და ტოტს შუა წნელი გაება და მარჯვედ ჩაეგრიხა, რომ ტარების დროს ფიჩხი არ ჩაშლილიყო.

როცა ყველაფერი უკვე მზად იყო, ილომ თერას მოგროვილი ფიჩხი ციგაზე დააწყო, ზედ ფეხით შედგა, მაგრა დატუშა, წნელი გადაავლო, ქანჩი გაუყარა და მკვრივად დაშარტა.

— ახლა კი ქარავანი დაიძრას, თორემ დღეს მიხაანთ თონე არ გახურდება! — წამოიძახა ილომ და ცას ახედა.

მართლაც მზეს კარგად შეემაღლებინა, ამოსცდენოდა ასწლოვანი ხეების კენწეროებს, ირიბად ისროდა სხივებს... რაღაც ყვითელი ბინდის მაგვარი შუქი უძრავად გამდგარიყო ტყეში.

— არა, მე წავიღებ!

თერა წნელის მარყუჟს მისწვდა, ილო არ ანებებდა.

— არა, მე...

— არა, მე...

— შენ ისეც დაიღალე...

— თაედალმართამდე მიგიტან, მერე შენ იცი...

— ორივემ წავიღოთ, ჰო?

ორივემ ჩაჰკიდა ხელი მარყუჟს. ორივე ეწეოდა ციგას. ღიმილით და ხუმრობით მიათრევდნენ ტყის ბილიკით საკმაოდ მძიმე ტვირთს. თერა ღიღინებდა, ტყე ბანს აძლევდა... ძნელი მისახვედრი იყო, ტყე თერას ღიღინს აძლევდა ბანს, თუ თავის ძველისძველ, უხსოვარ დროს წამოწყებულ უდასაბამო და უსასრულო სიმღერას დუდუნებდა. შესაძლოა ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ამ წუთში ორივეს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ულრანი ქალიშვილის ღიღინს ეხმიანებოდა, მათ უცნაურ გულისცემას უსმენდა და იმეორებდა. მათი თითები, ნიდაყვები და მხრები ერთმანეთს ეხებოდა, ხანდახან ნიავი შემოუქროლებდა, თერას გაწეწილ თმებს სახეში მიაყრიდა ვაჟის გახურებულ ლოყებს. მაშინ ვაჟი თერასკენ მოიხედავდა, თვალებში ჩაჰყურებდა და უღიმოდა...

გული უთრთოდა თერას. რაღაც, მოლოდინის მსგავსი, ტკბილი, უცნაური შიშის ჟრუანტელით ავსებდა.

უცებ ვაჟი შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა და ქალიშვილს თვალებში ჩააშტერდა. ორივეს ისე გაუვარდა წნელი, რომ ერთმანეთისთვის ხელი არ გაუშვიათ.

არწივივით წამოფოფრილი ილო ზემოდან ალალი ღიმილით დაჰყურებდა თერას. ქანდაკებასავით უძრავად მდგარს თითქოს ამოსუნთქვისაც კი ეშინოდა.

გაბედულად, უშიშრად შეჰყურებდა თერა, თითქოს პირველად ხედავსო, დაკვირვებით ათვალიერებდა.

უცებ ისე მოეჩვენა, თითქოს ვაჟის თვალებს ნათელი შეიმღვრა, წელანდელი ალალი ღიმილი სადღაც გაჰქრა... ბოროტი, ყვითელი ნაპერწკალი გაკრთა ცისფერ ჭავლში. თერას უნებური შიშით გააჟრჟოლა, თავი უკან გადახარა და თვალები დახუჭა... დახუჭა, რომ ავი ფიქრი მოეშორებინა.

ვაჟი დაიხარა. თერამ აჩქროლებულ მკერდზე ვაჟის ხელი იგრძნო, მაგრამ თვალები მაინც არ გაახილა. მერე მათი მხურვალე ტუჩები ერთმანეთს მისწვდა, სულ ერთი წამით... ამ ერთი ტკბილი, თავბრუდამხვევი წამის გაელვებაში ორივე ტკბილ, საუკუნო ბურანს მიეცა. მერე თერამ გაიბრძოლა, ვაჟის მკლავები მოიშორა და განზე გადგა. ერთ ხანს ორივე თავდახრილი იდგა.

მერე თითქოს საგანგებოდ, ორივე ერთად დაიხარა და ორი ათრთოლებული ხელი ერთდროულად დასწვდა ბილიკზე მიგდებულ წნელის მარყუჟს.

სოფლის გადასახედამდე ისე მიათრიეს ნალო, რომ ერთმანეთისათვის არ შეუხედავთ. თავდაღმართი დაიწყო, ნალო თითქმის თავისთავად მიცურავდა. ვაჟი შეჩერდა და ხმადაბლა თქვა:

— ახლა წადი. წადი და ამ ტყეში ჩემმა თვალმა არ დაგინახოს, თორემ...

— თორემ?..— გულის კანკალით შეეკითხა თერა.

ილომ ხმამაღლა გაიცინა.

— თორემ ემაგ პირმოცვეთილ წალდუნას ჩამოგართმევ... ხა, ხა, ხა!..

თერა გაოცებული შეჰყურებდა, ვერ გაეგო ხუმრობდა თუ მართლა ეუბნებოდა ვაჟი. რაღაც იდუმალი, ნამდვილი მუქარა გამოკრთოდა მის ხმაში.

— გოგო, მართალი კი არ გეგონოს... ისე ამოირბენდე, ოღონდ ფიჩხისთვის კი არა, ცოდო ხარ...

— მაშ... —წასცდა თერას, მაგრამ ილომ არ დაამთავრებინა:

—თქვენი საკმარი შეშა-ფიჩხი ჩემ კისერზე იყოს!

— მაშ რაღად უნდა ამოვიდე?

ამის გაგონებაზე ილო თითქოს დაიბნა, ლოყებზე ალმური წამოენთო, ღიმილით მიაგება:

— ტყის მარწყვი დამწიფდა, გო... ავდრების მერე ალაგ-ალაგ ქამასოკოც გაჩნდა... ამოირბინე ხოლმე.

თერამ უნებური შიშით შეხედა ვაჟის ლამაზ, მაცდური ღიმილით დაბრეცილ ტუჩებს, ამღვრეულ თვალებს. არაფერი უთქვამს, ცრემლი წასკდა, ჩუმად, უხმოდ სტიროდა. პირს არ აჩვენებდა ვაჟს, შორს გაიცქირებოდა, სადღაც ქვევით ხევში ჩაფენილ მშობლიურ სოფელს ჩაჰყურებდა.

* * *

მიხა პაპა გაოცებული ათვალიერებდა ჭიშკარში შემოსულ შვილიშვილს, რომელიც კოხტად დათუშულ ნალოს მოათრევდა. თერა დღეობიდან დაბრუნებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ტყიდან მომავალს.

მუქი ენდროს ფერი კაბა ეცვა. ხორბლისფერ ლოყებზეც ორი ყაყაჩო წამონთებოდა... რაც უფრო უახლოვდებოდა მიხას, ეს ყაყაჩოები უფრო მეტად იზრდებოდა და მთელ სახეს ედებოდა.

ბერიკაცის გამჭრიახი თვალი ხან თერას წამოწითლებულ ლოყებს მისწვდებოდა, ხან მარჯვე ხელით გამოთლილ ციგას, რომელზეც ფიჩხი ეწყო.

თერამ ნალო დერეფანში შეათრია, მარყუჟს ხელი უშვა და ბერიკაცს მორცხვად შეხედა.

— ძაან გიოსტატნია, გოგო...

თერას ენა ჩაუვარდა.

— არა... მე... მე კი არა, ილო მომეშველა...

— აბა, ილო?... რომელი?.. ჰოო...

ბერიკაცმა წნელები წალდით ჩასჭრა, ნალო დაშალა, ფიჩხი კუთხეში მიჰყარა. ხელნებივით გამოთლილი ორტოტა ლატანი ფეხზე წამოაყენა და კედელზე მიაყუდა.



— ქედიანი ბიჭი ყოფილა... მარჯვე ხელი ჰქონია... — ბურტყუნებდა დაფიქრებით და ეჭვიანად, თან თერას ანთებულ თვალებს მცდელი ღიმილით ათვალიერებდა... უცებ ამ სამი-ოთხი წლის წინათ ეზოში ჩუმად გადმოყრილი ხმელი შეშა გაახსენდა, შუბლი შეიკრა და ავმა გუმანმა თავგზა დაუკარგა.

— ძაან შორიდან დაგიწყია, გოგო... — მეტი აღარა თქვა რა, გაბრუნდა და შვილიშვილისგან შეუმჩნევლად კარგა ხანს ეჩურჩულა თავის დედაკაცს.

— უნდიხარ?..

თერა გაჩუმებული იჯდა, არაფერს ამბობდა, დაფიქრებული შეჰყურებდა დიდედა კატოს შეშფოთებულ სახეს... არაფერს ფიქრობდა, თითქოს არაფერს ფიქრობდა, მაგრამ გული მაინც თავისთავად ამბობდა:

„არ ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ... არა".

— არაფერი უთქვამს?

— არა.

— სანამ ქრისტიანულად არ გეტყვის, განზე დაიჭირე, შვილო...

ამ სიტყვებზე თერას უნებურად გაეღიმა. გული კი ისევ იმეორებდა: „არ ვუყვარვარ... დიახ, სწორედ იმიტომაც, რომ „არაფერი უთქვამს", არაფერი... ისე, ფოცხვერივით მომეპარა, და... თვალი რომ ვინმეს მოეკრა, ხომ დავილუპებოდი. პაპა მიხაც გაიგებდა, დიდედაც".

უნებურად ხელი აიფარა ტუჩებზე, მოიწმინდა. თითქოს იმ მხურვალე კოცნის კვალს შლიდა... მკერდზე ერთხელ კიდევ იგრძნო ვაჟის ათრთოლებული ხელი. ტანში გააჟრჟოლა და უცებ გულისპირზე დაიხედა. მკერდზე ცეცხლი მოჰკიდებოდა, უჩქროლავდა, ბაგაბუგი გაჰქონდა.

ოღონდაც, განზე უნდა დაიჭიროს... ტყეში მარტო აღარ წავა.

ისე ამოირბინეო... ტყის მარწყვი დამწიფდაო, ქამასოკო გაჩნდაო... როგორ თუ ისე?

მოსაწყენია ტყეში უსაქმოდ გდება, ხმის გამცემი არა ჰყავს და გამრთობი სჭირდება. უკაცრავად, უკაცრავად... არა, აღარ წავა.

— აღარ წავალ... — წყენით წაიბურტყუნა თერამ. გულში კი თავისთვის გაიფიქრა:

„ იჯდეს ტყეში და მელოდოს..."

თქვა და აასრულა კიდეც... რამდენიმე დღეს ტყის ბილიკისაკენ არც კი გაუხედავს.

მაგრამ რა ძნელი იყო ეს მისთვის...

ხანდახან, როცა თვალი უნებურად გაექცეოდა, ტყის ბილიკის თავზე, იქ, სადაც თავდაღმართი იწყებოდა, თითქოს ვიღაცის უძრავად ასვეტილი, ძლივს გასარჩევი ჩრდილი მოჩანდა, რომელიც ხელს უქნევდა და თავისკენ იწვევდა.

ეს ჩრდილი თუ კაცი ერთთავად იქ იდგა და იმ ადგილს არ შორდებოდა, სადაც თერას მაშინ გული ამოუჯდა, სადაც [illegible] ცრემლით გამოიტირა თავისი პირველი ცოდვა.

მაგრამ რა ტკბილი იყო ზოგჯერ იმ ცოდვის გახსენება. თერა სირცხვილით იწვოდა, როცა მოგონების ეს ტკბილი ბურანი წაიღებდა.

არა, ის ხომ შავრცხილას მაღალი ჯაგვია და მეტი არაფერი...

განა ილოს მეტი საქმე არა აქვს, დილითაც, დღისითაც, საღამომდე, როცა კი გაიხედავ, იქ იდგეს და ელოდოს!..

დიახ, საღამომდე...

მხოლოდ საღამოს ბინდი წაშლიდა ხოლმე იმ კაცის ჩრდილსა თუ შავრცხილას ბუჩქს, რომელსაც თერა გულისჩქროლვით გასცქეროდა და გულით უნდოდა... უნდოდა აერბინა ტყის თეთრი ბილიკი, მისულიყო იმ უძრავად გაჩერებულ ხესთან, მიყრდნობოდა.

* * *

მაგრამ ჭაბუკი არსად ჩანდა... იქ მართლაც ხე იდგა. თურმე მართლა თვალი ატყუებდა. ეს კაცი კი არა, გზის პირას განმარტოებით მდგარი ერთადერთი შავრცხილა იყო.

მაგრამ თერა მას არ მიყრდნობია, არც შეუსვენია... ცრემლი წასკდა და უკან გამობრუნდა. თურმე მარტო თვალი კი არა, გულიც ატყუებდა. არც ერთხელ ილო აქ არ მოსულა, არ გაჩერებულა აქ, არც ერთხელ არ ჩაუშტერებია თვალი ქვევით, თერას კარმიდამოსთვის. ილოს ის არ ჰყვარებია, არც გახსენებია.

აჰ, რა იქნებოდა, ახლა აქ, ამ შავრცხილას მაგივრად მართლაც ილო დაენახა, მდუმარედ გაჩერებული, მისი სახლისკენ თვალგაშტერებული. თერა მაშინვე შეუმჩნევლად უკან გაბრუნდებოდა... არ მივიდოდა მასთან, მკერდზე არ მიეყრდნობოდა, როგორც ადრე ოცნებით აპირებდა. არ მივიდოდა, მაგრამ შინ ბედნიერი დაბრუნდებოდა.

* * *

პატარა ძველებური მარნის დერეფანში უზარმაზარი ქვევრი ბაყბაყ დევივით მხართეძოზე წამოწოლილიყო. ჯერ უხმარი ჩანდა ქვევრი, მიწაში ჩაუსვლელი. ოდნავ ზემოთ აწეული თავით პირქუშად გამოსცქეროდა დერეფანს. ვეებერთელა ყურივით მოუჩანდა უსარქველო ჭერმისფერი პირი. როცა დერეფანში ხმაური ატყდებოდა, ქვევრიც თითქოს ამ ვეება ყურით უსმენდა და ყრუდ იმეორებდა, რომ ნათქვამი არ დავიწყებოდა.

ეს ქვევრი იყო პატარაობაში თერას ერთადერთი გამრთობი და მესაიდუმლე. ამ ქვევრს ჩამღეროდა პატარა თერა თავის საყვარელ სიმღერებს, როცა მარტო დარჩებოდა. ამ ქვევრს ჩასძახოდა თავის საიდუმლოს, სხვისთვის გაუმხელ დარდსა და ხვაშიადს.

ეს უცნაური მესაიდუმლე დიდად გამგონე და კეთილი ვინმე იყო. ესმოდა თერას ხმაც და ხვაშიადიც, თანაუგრძნობდა მის გულის ტკივილს. მის სევდიან ჩაძახილს მუდამ იმედიანი, გამამხნევებელი ამოძახილით პასუხობდა.

— მამა მოვააა?... — ჩასძახებდა თერა.

— მო... ო... ვა!.. მოოო.., ვა!... ამოსძახებდა გუგუნით ქვევრი.

ცხოვრებას ჯერ მისთვის არ ესწავლებინა მარტივი სიბრძნე: ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო... ამიტომ ეს იმედიანი ამოძახილი მის მიამიტ გულს სასწაულად ეჩვენებოდა, ხარობდა, ხმამაღლა იცინოდა და კვლავ ჩასძახებდა:

— მა... ლეე?...

— მა... ლე... მააა... ლე! —იმეორებდა ვიღაცის ბუბუნა ხმა ქვევრიდან და თერა ამ წუთებში აშკარად ხედავდა ეზოში შემოსულ ჯარისკაცს, თავის უცნობ მამას... საღამო ხანს მინდვრიდან დაბრუნებულ პაპა მიხას მუხლებზე ჩამოუჯდებოდა, თავის უცნაურ მეგობარზე ეტიტინებოდა. არ ეშვებოდა, ეკითხებოდა: ეს ქვევრი ვინ მოიტანა, აქ ვინ დააწვინაო... პაპა მიხა თავს ჩაქინდრავდა, ჩაფიქრდებოდა, გახსენება უმძიმდა, მაგრამ მაინც იხსენებდა:

— მამაშენმა, შვილო... ახალი ვენახის გაშენებას აპირებდა, მარნის თადარიგსაც შეუდგა. ეს ქვევრიც ომში წასვლის წინ იყიდა.

— მერე მარანში როგორ უნდა შეეტანა?

თერა თვალით ზომავდა უზარმაზარი ქვევრის მუცლის სიგანეს, ეჭვით გასცქეროდა მარნის ვიწრო, ცალფა კარს.

— კარის ჩარჩოს ამოვიღებდით, კედელსაც ამოვანგრევდით, გავაგანიერებდით და ისე შევიტანდით... ეხ, არ დაგვაცალეს იმ წყეულებმა, თორემ...

ხმა ჩაუწყდებოდა პაპას, ყელში მობჯენილ ბოღმას ებრძოდა, გულში ჩაიკრავდა გოგონას.

— პაპა, ნუ დარდობ, მამა მალე დაბრუნდება. —

— ვინ გითხრა, შვილო? — უცებ წამოიძახებდა ბერიკაცი.

— ვინა და, ჩემმა ქვევრმა ამომძახა! — ეშმაკური ღიმილით იტყოდა თერა, ქვევრთან მიირბენდა და ჩასძახებდა:

— მამა მო... ვააა?...

და როცა იმედიან პასუხს მოისმენდა ქვევრისთავზე დანდობილი ყური, გოგონა სიხარულით შეითამაშებდა.

ვაი, რომ იმედიანი ამოძახილისა მხოლოდ მას სჯეროდა... დრო გადიოდა, მაგრამ მამა არსად ჩანდა.

* * *

თავის ბუზღუნა მესაიდუმლეს თერა ახლა მამის ამბავს აღარ ეკითხებოდა. დროს თავისი გაეტანა, გზისკენ მაცქერალი თვალი და გული მოექანცა... სასოწარკვეთილი გულის ძახილს ქვევრი უიმედო ხმითვე აძლევდა პასუხს და როცა თერა ეჭვიანად ჩაეკითხებოდა, „მამა აღარ მოვაო", ქვევრის უზარმაზარ გვამში დაბუდებული წყვდიადი აფუსფუსდებოდა, შეირხეოდა და სევდიანად ამოიოხრებდა:

„აა... ღარ, აღარ მოვაო".

ახლა უკვე სხვა საიდუმლოს ანდობდა თერა თავის ძველ მეგობარს, სხვისთვის უთქმელს და უხსენებელს, მხოლოდ საკუთარი გულის საამო სატკივარს... ეს მხოლოდ მას უნდა სცოდნოდა, ისიც ჩურჩულით და გულის თრთოლვით თქმული.

ნიავის შრიალივით წყნარი ჩაძახილით უმხელდა თერა თავის ახალ საიდუმლოს ქვევრს.

ცხოვრებას მისთვის უკვე ესწავლებინა ძველი სიბრძნე, ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო, ამიტომ ქვევრის ამოძახილს დიდ მნიშვნელობას აღარ აძლევდა, დარდის მოსაკლავად და დაეჭვებული გულის სალაღობოდ თუ ჩაეხმიანებოდა... ისიც მაშინ, როცა ეს დარდი გულს დაუმძიმებდა, ეჭვი ღრღნას დაუწყებდა, როცა არწივივით მკლავებგაშლილი ილოს სახე დაუდგებოდა თვალწინ.

„იმღერე, გოგო, იმღერე..."

ახლოს, სულ ახლოს, აწითლებულ ყურის ბიბილოსთან ესმოდა ვაჟის ხმადაბალი, დაღლილი ქშენა. თერას არ შეეძლო უარი ეთქვა უჩინარი ჭაბუკისათვის. გულს სიმღერა მოენატრებოდა.

ამ წუთებში მართლაც საარაკო იყო მისი ძველი მეგობარი. ქვევრი თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა და ძველ ანდაზასაც ამართლებდა: თერას წკრიალა ხმას მხარსაც აძლევდა და ბანსაც... როცა თერა თავის სიმღერას წამოიწყებდა და ქვევრის თავზე დაიხრებოდა, ქვევრიდან ვაჟკაცის ომახიანი ხმაც ამოგუგუნდებოდა, მის ეშხიან მოძახილს უერთდებოდა.

თუ ვინ იყო ის ვაჟკაცი, მხოლოდ თერამ იცოდა.

ამ დროს კარის მეზობლები, გამვლელ-გამომვლელნი მესერს მოადგებოდნენ და მალულად უთვალთვალებდნენ, უსმენდნენ თავდავიწყებით მომღერალ ქალიშვილს, ღიმილით ლოცავდნენ მის გაჩენას!

* * *

ტყე ეძახდა თერას.

თერა მღეროდა ისე, რომ ტყისკენ არც იხედებოდა.

ტყე კი, სადღაც შორს, ჯადოსნურ სიმშვიდეში განაბული ტყე, წყნარად შრიალებდა და ეძახდა.

მწიფდა ტკბილი, მარჯნისფრად დამკრახული მარწყვი. ნაწვიმარზე, ასწლოვანი ხეების ძირებში ქამასოკო მომრავლებულიყო.





# 1858 ასი წელი 1958

მერაბ მელითაური

ფოტო ო. თურქიასი

ასი წლის წინათ, 1858 წელს თბილისში გაიმართა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა. ეს უკვე მეორე გამოფენა იყო (პირველი 1850 წელს გამართა მეფის ნაცვალმა მ. ვორონცოვმა) და მან დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისისა და, საერთოდ, მთელი ამიერკავკასიის სოფლის მეურნეთა და მრეწველთა შორის. ამ გამოფენის გამო „ცისკარი“ წერდა:

„ძნელად ნახავს კაცი იმ გვარს სანახავს, რომელსაც წარმოადგენდა ვისტავკა. იქ, სულ შვიდ ოთახში, იყო მოგროვილ და მოთავსებული ყოველი, რაიცა შეადგენს ნამდვილს სიმდიდრეს აქაურია ქვეყნისას. რასაკვირველია, ეს არ არის ჯერეთ სრული სურათი ყოველის საუნჯისა, და ვინ იცის რავდენნი იყოს კიდევ აქაურს ბუნების წიაღში დაფლული საგანი, რომლისთვისაც კაცის შრომას ჯერეთ არ მიუგვნია, მაგრამ რაც კი ვნახეთ ეხლა, ეს ყოველივე იყო გასაოცარი დაბეჭდილს სიაში იხილვება სულ 1867 ნიმუში. ...ვისტავკა იყო ღია ყოველდღე 10-3 საათზე და ამ დროს მოაწყდებოდა მრავალი ხალხი, რომელიც თავისუფლად უვლიდა და ჩაუვლიდა ამ მშვენიერს ბაზარს...

...ეხლა ვიცით, თუმცა მიახლოვებით, თუ რის მწარმოებელია აქაური ბუნება, რის შემძლენი არიან აქაურნი მოსახლკარენი, რა გამოუვათ ხელიდან აქაურ ხელოსნებს“.

მაინც, რის მწარმოებელი იყო ბუნება? ბუნება „ბევრის მწარმოებელი იყო“, მაგრამ ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობისა და მემამულეების მიერ მეურნეობის უხეირო წარმოების შედეგად მნახველი ვერაფერ ხეირიანს ვერ იხილავდა ამ გამოფენაზე. გაზეთ „კავკაზის“ ფელეტონისტი წერდა: „გამოფენამ უნდა წარმოდგენა მოგვცეს ქვეყნის და მისი მწარმოებელი ძალების შესახებ... მაგრამ მნახველს, რომელიც კარგად იცნობს ადგილობრივ მრეწველობას და აქაური ბუნების სიმდიდრეს, და რომელიც მოვა გამოფენაზე არა სასეირნოდ, არამედ სწორი ეკონომიური დასკვნების და დამამშვიდებელი ფაქტების მოსაპოვებლად, მხოლოდ მძიმე შთაბეჭდილება რჩება. გამოფენის მომწყობებს ისეთი შემთხვევითი ნიმუშები მოუგროვებიათ, რომლებმაც შეიძლება გაკვირვება გამოიწვიოსო. გამოფენის ყოველ განყოფილებაში წარმოდგენილი იყო სოფლის მეურნეობის ერთი დარგი და მისგან ნაწარმოები საქონელი, უმთავრესად, თვით მეურნეთა ან ხელოსანთა მიერ. წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო იარაღი, მაგალითად, „მეღვინეობის განყოფილებაში“ ექსპონენტს — „თელაველ მემამულეს მისი იმპერატორობით უდიდებულესობის ფლიგელ-ადიუტანტს თავად დავით ჭავჭავაძეს გამოეფინა „ერთი ბოთლი ადგილობრივი წითელი ღვინო და ერთი ბოთლი თეთრი ღვინო“. ექსპონენტ ბატონ შმიდტს — ხუთი ბოთლი ადგილობრივი შავი ყურძნის ღვინო, 1855 წლის მოსავლისა სოლანლუღის ბაღიდან „კაპრიზი“. აქვეა წარმოდგენილი საწნახელის მოდელი, ტიკები, და ქვევრის სარეცხიც კი.

სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან — აბრეშუმეობასთან, მესაქონლეობასა და მეფუტკრეობასთან ერთად წარმოდგენილია, აგრეთვე, ტექნიკური მცენარეებიც, მაგალითად, სალებავი მცენარე მარენა, რომლის ფესვებისაგან მზადდებოდა ყველაზე იაფი წითელი სალებავი — და რომლის საკმაოდ განვითარებულ წარმოებას სწორედ იმ წლებში მოუღო ბოლო ალიზარინის ხელოვნური სალებავების გამოგონებამ. მეურნეები ცდილობენ გამოფინონ რაიმე „საკვირველი“, ამიტომ ადგილობრივ ექსპონატებს ამჯობინებენ „სიგარებს, ჰავანის თამბაქოდან“, კენტუკის, მერილენდის, ვირგინიის და ვინ იცის, კიდევ სადაურ თამბაქოს, და მათთან ერთად მორცხვად აღნიშნავენ „სიგარებს ადგილობრივ, იმერული თამბაქოდან“. განსაკუთრებით საინტერესოა განყოფილება „მინერალები, მადნები, ქვები და ქვის ნაკეთობა“. მართალია ამ განყოფილებაში საკუთრივ საქართველოდან ძალიან ცოტა რამაა გამოფენილი და, უმთავრესად, ალაგირის და შამლუღის ქარხნების ნაწარმოებია, მაგრამ მინერალთა და მადანთა 150 ნიმუშში — ბევრი საინტერესო ნიმუშია — ქვანახშირი, მარმარილო, კირქვა, ტუფი, ალებასტრი, საშენი ქვები.

კატალოგში ჩამოთვლილი ორი ათასი ექსპონატიდან რამდენიმე უცხოეთიდან ჩამოტანილი სასოფლო-სამეურეო მანქანაც იყო, რომლებიც ან გერმანელ კოლონისტებს ან „სწავლულ მეურნეებს ეკუთვნოდენ“.

ვინ იყვნენ გამოფენის ძირითადი ექსპონენტები? ამ ცალკეულ „სწავლულ მეურნეთა“ და ოფიციალურ პირთა გარდა, მრავლად არიან გერმანელი მეურნეები — კრემერები და კუჩენბახები, რომელთა მიმართ მთავრობა განსაკუთრებულ გულისყურს იჩენდა და საკმაოდ დიდ დახმარებასაც უწევდა ვითომდა „ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარების“ სახით. ქართველ ექსპონენტთა შორის დიდი აქტივობა გამოუჩენია თბილისის მაზრის მემამულეს — არჯევანიძეს და ქუთაისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლს — ჩიჯავაძეს.

როდესაც ამ გამოფენის კატალოგს ვათვალიერებდი, არ შემეძლო აუღელვებლად წამეკითხა გლეხების გვარები. ამას წინათ მოვიარე ყვარლის რაიონის ბაღვენახები და ყანები, უახლესი სასოფლო-სამეურნეო მექანიზმების საშუალებით დამუშავებული და აგრო-ტექნიკური მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა საფუძველზე მოვლილი და ნაპატრონევი ბაღები, რომლებშიც ათეული და ასეული აგრონომი და აგროტექნიკი ტრიალებდა და ჩემს თვალწინ დადგა ის უცნობი გლეხი, ის უცნობი მიწის მუშა, რომლის გვარიც კი მისი ერთადერთი იარაღის ნიშანს ატარებს, შილდელი მახარე თოხმუშიშვილი, რომელმაც პრიმიტიულ სამჭედლოში ნაჯახი გაჭედა და გამოფინა ამ ასი წლის წინათ, — ჩემ თვალწინ დადგნენ ის უცნობი ადამიანები, რომელთა გვარები შემოგვინახა „გამოფენის კატალოგმა“.

მე არ ვიცი, ვინ იყო ყვარლელი მჭედელი ფრიდონ ყანდაურაშვილი, რომლის ნაწარმოები ლურსმანი ნახსენებია კატალოგში, ანდა ის შილდელი მახარე თოხმუშაშვილი. არ ვიცი, რადგან მათ სახსოვრად დარჩა მხოლოდ აი, ეს „გამოფენის კატალოგი“, მაგრამ ისინი, ალბათ, პატიოსანი მშრომელები იყვნენ, რომელთაც მთელი სიცოცხლე შრომასა და გარჯაში გაატარეს. და, იქნებ, ყვარელსა და შილდაში, კურდღელაურაა და კუჭატანში შენახულია მათი სახელი, მათ შორის შეიძლება მრავალი იყოს სოფლის მეურნეობის ოსტატი და მოწინავე, იქნებ მათი შთამომავალნი ახლაც იღებენ მონაწილეობას საკავშირო და ჩვენს რესპუბლიკურ გამოფენებში...

აი, ვინ იღებდა მონაწილეობას 1858 წლის გამოფენაში: ყვარლელები: ივანე სამუკაშვილი, ციცრიშვილი, საბრალო ყაზახიშვილი, საბრალო ყანდაურაშვილი, ფრიდონ ნიკოლოზიშვილი, იობე ბეუკლიშვილი, იოაკიმე როზამაშვილი. შილდელები: მათე პაწაშვილი და ფრიდონ ნიკოლოზაშვილი, კუჭატნელები: მიხა ონოფრიშვილი, გიორგი ახალმოსულიშვილი და დიონისე მჭედლიშვილი. კურდღელაურელი — იასონ მარკოზაშვილი. ამათ გარდა არიან ყვარლის რაიონის მცხოვრებნი (ოღონდ არ არის აღნიშნული, რომელ სოფელში მცხოვრებნი და ესეც

დასადგენია) — სპირიდონ მებზებიშვილი, ელისაბედ მუღალიშვილი, დემეტრე ჭიბოშვილი, მოსე ნაზირაშვილი, მარიამ იორდანიშვილი.

* * *

როდესაც წერ თბილისის 1500 წლისადმი მიძღვნილ, 1958 წლის სამრეწველო გამოფენის შესახებ, მარტო შთაბეჭდილებებით უნდა შემოიფარგლო და ძალაუნებურად ის სტანდარტული ფორმულა მოიშველიო („წერილის განსაზღვრული მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას...“), რომელ'აც ხშირად გამოვყავართ მდგომარეობიდან...

მართლაც, შეუძლებელია თუნდაც მთავარი ექსპონატების ჩამოთვლა, რომლებიც თავმოყრილია გამოფენის ძირითად განყოფილებებში: „მანქანათმშენებლობა“, „ქიმიური მრეწველობა“, „ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობა“, „საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობა“, „კვების მრეწველობა“, „ადგილობრივი მრეწველობა“, „სარეწაო კოოპერაცია“.

აქ მრავალი ისეთი რამ არის გამოფენილი, რაც ბევრმა თბილისელმაც კი არ იცის, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს, რასაც აქ ნახავთ, წარწერა აქვს — „დამზადებულია თბილისში“, ან ატარებს „თბილისურის“ სახელწოდებას ანდა „თბილისი“ აწერია ეტიკეტზე...

ჩვენ დიდი ხანია უკვე შევეჩვიეთ თბილისში გამოშვებულ ღვინისა თუ კონიაკის, აბრეშუმისა თუ შალის ქსოვილების, კონსერვებისა თუ მინერალური წყლების, ჩაისა თუ თამბაქოს „ტრიუმფებს“ გამოფენებსა და საერთაშორისო დეგუსტაციებსა და დათვალიერებებზე და კარგად ვიცნობთ ჩვენს მრავალრიცხოვან „მედალოსნებს“ — ღვინოსა და კონიაკებს (მათ 1955-1958 წლების განმავლობაში 19 — ოქროს, 41 — ვერცხლის და 2 — ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს — ხოლო სულ ბოლო ხანებში, თბილისის 1500 წლისთავისათვის სამტრესტი'ა მიერ გამოშვებულმა კონიაკმა „თბილისმა“ საკავშირო დეგუსტაციაზე დიდი ოქროს მედალი მოიპოვა).

ვიცით, რომ თბილისის ლითონდამმუშავებელი დაზგები არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ჩვენ მოძმე დემოკრატიულ ქვეყნებშიაც დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

თბილისში კონსტრუირებული და აგებული მანქანები გვანცვიფრებენ თავისი „ჭკვიანური მოქმედებით“, ისინი არა მარტო ანგარიშობენ, არამედ „თვალყურს ადევნებენ“ და კონტროლს უწევენ ურთულეს მეტალურგიულ და ქიმიურ პროცესებს... გამოფენაზე წარმოდგენილია ბრძმედში მოქმედი პროცესების მართვის ავტომატიზაციის ელექტრონული მანქანა, ავტომატური ფოტოკოლორიმეტრი, 'აიმჟავეთა კონცენტრაციის ავტომატური განსაზღვრის ხელსაწყო... ლითონის ნაკეთობათა წუნის დამდგენი ხელსაწყოები — დეფექტოსკოპები, რომლებიც რადიაქტიურ იზოტოპების გამა-გამოსხივების გამოყენების პრინციპზეა დამყარებული. ამ ხელსაწყოთი შეიძლება განვსაზღვროთ ადამიანის თვალისათვის და თვით რენტგენის სხივებისათვის შეუმჩნეველი უმცირესი დეფექტები — ამ ხელსაწყოების თვით საჭიროებაც კი უკვე თავისთავად ლაპარაკობს წარმოების მაღალ კულტურაზე.

ადგილობრივი მრეწველობის პავილიონში გამოფენილია საამშენებლო მასალათა კომბინატის ბიტუმის ქარხნის მიერ დამზადებული სითხე. ქარხანა სოფ. ლილოშია, მაგრამ ამ სითხის დასამზადებლად საჭირო ნედლეული — ნავთობი — ნორიოშია. ნორიოს ნავთობი ცნობილია თავისი სიმსუბუქით და ამ ნავთობის ზოგიერთ ფრაქციებიდან მზადდება შესანიშნავი თვისებების მქონე სითხე — ნორიოლი, რომელსაც, აგრეთვე, ლითონების დეფექტოსკოპიისათვის გამოიყენებენ. კაპილარული ძალების გავლენით ნორიოლი იმსჭვალება მიკრონაბზარებში და ულტრაიისფერი სხივებით მოქმედების დროს ძლიერ ნათებას იწყებს და აშკარავებს უხილავ დეფექტებს.

როდესაც ათვალიერებ ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ქარხნის, 26 კომისრის სახელობის ქარხნის, ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და მთის მიწათმოქმედების სპეციალურ სახელმწიფო-საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ დამზადებულ მანქანებს, ძალაუნებურად გაგახსენდება თოხითა და ბარით, კავითა და გუთნით, წალდითა და სასხლავი დანით შეიარაღებული ქართველი გლეხი.

ასი წლის წინათ გამართულ გამოფენაზე ყვარლელმა და შილდელმა მჭედლებმა — ნაჯახები, ნამგლები და ფიწლები მიიტანეს გამოფენაზე, ახლა — კი მათი შთამომავლები, არა მარტო იყენებენ მინდორში და ბაღში, ვენახსა და ჩაის პლანტაციებში შესანიშნავ მექანიზმებს, არამედ თვით ქმნიან ამ მანქანებს, აგებენ მათ და ამარაგებენ შორეულ მოძმე ქვეყნებსაც — ვიეტნამსაც და ჩინეთის რესპუბლიკასაც.

გამოფენაზე ნახავთ ჩაის პლანტაციების დასამუშავებლად განკუთვნილ მანქანათა მთელ სერიებს — ჩაის საკრეფ მანქანას, ფუმიგატორებს, სამთო-საბარო კულტივატორებს. მანქანებს, რომლებიც ვენახებს ამუშავებენ და მეთამბაქოებს უმსუბუქებენ შრომას, განკუთვნილია ყაჭის ამო'აახვევად და თუთის ფოთლის დასაკრეფად... მრავალი მათგანი უკვე დანერგილია წარმოებაში, მრავალი ახლა ინერგება...

საგულისხმოა, რომ ქართველი კონსტრუქტორების აზრი მიმართულია საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითად დარგების — მევენახეობის, მეჩაიეობის, სუბტროპიკულ კულტურათა, მეხილეობის, მეაბრეშუმეობის, მებოსტნეობის, სამთო მიწათმოქმედების — ყველა პროცესების მექანიზაციისაკენ, ქართველ კონსტრუქტორთა მიერ შექმნილი მანქანების წყება მოიცავს თითქმის ყველა პროცესებს — დაწყებული მინდვრის სამუშაოებიდან — დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მზაპროდუქციი'ა შეფუთვით. აქ ნახავთ სამთო პირობებისათვის განკუთვნილ თვითმავალ შასისაც (ქარხანა „თბილსოფლმანქანა“) და ღვინისა და შამპანიურის ჩამომსხმელ და დამცობ მანქანებს (ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა); ახვლედიანის სისტემის თამბაქოს ამსხმელ დაზგას (ადგილობრივ მრეწველობის სამმართველოს ხის დამმუშავებელი ქარხანა), აბრეშუმის ამოსახვევ ავტომატს, ს. კიკნაძის სისტემისა და შ. მარდალეიშვილის სისტემის სადნობ მანქანას.

როდესაც ათვალიერებ ამ მანქანებს, მათ მიერ შექმნილ მრავალრიცხოვან პროდუქციას, გრძნობ, რომ შემოქმედებითი აზრი ერთმხრივაა მიმართული — რაც შეიძლება უფრო გააადვილოს ადამიანის შრომა, რაც შეიძლება მეტი და საუკეთესო ხარისხის პროდუქცია გამოუშვას.

გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია, მან ერთად მოუყარა თავი და შეაჯამა ის დიდი მუშაობა, რომელსაც ორმოცი წლის განმავლობაში ეწეოდა ქართველი მუშებისა და ინჟინრების, კონსტრუქტორებისა და მეცნიერების მთელი ლაშქარი-



# ზესტაფონის ფერო 25 წლისა

ალ. კოჭლავაშვილი

თანამედროვე ფეროშენადნობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მეტალურგიაში. ღუმელში მათი დამატებით, მდნობელი ფოლადს ნებისმიერ თვისებას ანიჭებს — უჟანგაობას, ცეცხლგამძლეობას, სისალეს და მრავალ ისეთ თვისებას, რომელსაც ტექნიკა ლითონისაგან მოითხოვს.

ამჟამად რამდენიმე ათეული ნაირსახეობის ფეროშენადნობია ცნობილი, მაგრამ ყველაზე დიდი გამოყენება აქვს რკინისა და მარგანეცის შენადნობს ანუ ფერომარგანეცს. მარგანეცის მსოფლიო მოპოვების 95% მეტალურგიაში ფერომარგანეცის სახით იხარჯება.

საბჭოთა კავშირში ფეროშენადნობების წარმოება პირველ ხუთწლედში ჩაისახა და განვითარდა. ამავე ხუთწლედის პირმშოა ფეროშენადნობთა ზესტაფონის ქარხანა, რომელიც 25 წლის წინათ ჭიათურის მარგანეცის საბადოების ბაზაზე აშენდა.

ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში, პირველად აკაკი წერეთელმა წამოაყენა საკითხი საქართველოში ფერომარგანეცის წარმოების მოწყობის შესახებ. პოეტი მთავრობის და მრეწველთა საყურადღებოდ წერდა: „რუსეთში ევროპიდან მოაქვთ ეს მადანი... წელიწადში ასი ათასი ფუთი... ფასი ფუთისა ოთხი აბაზია და გადაკეთებულის, ე. ი. გადარკინებულის ორ მანეთიდან სამამდის“. ამრიგად, აკაკი ანიშნებდა იმ სარგებლიანობაზე, რომელსაც ქვეყანა მიიღებდა, თუ მსოფლიო ბაზარზე ჭიათურის ნედლი მადნის ნაცვლად გატანილი იქნებოდა „გადარკინებული“, ე. ი. ფერომარგანეცი.

ამ ესოდენ საჭირო და ფრიად სასარგებლო საქმისადმი მთავრობის მხრივ შეუწყნარებელი გულგრილობის გამო, ქართველი და რუსი მოღვაწეები იძულებულნი იყვნენ საკუთარი თაოსნობა გამოეჩინათ და პირადი სახსრებით მოსამზადებელი ღონისძიებები ჩაეტარებინათ. ნიკო ნიკოლაძისა და ინჟ. ფ. თ. როპის ინიციატივით 1910 წელს დაიწყო საქართველოს მდინარეთა შესწავლა ჰიდროელექტროსადგურისა და მის ბაზაზე ფერომარგანეცის ქარხნის აგების მიზნით. ისევ ნ. ნიკოლაძის მოწვევითა და ფულადი დახმარებით, ინჟ. ლ. რომანოვმა თბილისში აგებული პატარა ელექტროღუმელით ჭიათურის მადნიდან გამოადნო ფერომარგანეცი საუკეთესო მაჩვენებლებით. მიუხედავად ამისა, ქარხნის აგება მაინც ვერ გადაწყდა და ჭიათურის მადანი კვლავ საზღვარგარეთ მიდიოდა ჩალის ფასად.

მხოლოდ საბჭოთა პირობებში შეიქმნა რეალური პირობები ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობისათვის. 1921 წლის 12 აპრილს, ე. ი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ, კომუნისტური პარტიის დავალებით საქართველოს სმუს-ის პრეზიდიუმმა რესპუბლიკის ელექტროფიკაციის ღონისძიებებში გაითვალისწინა ფერომარგანეცის ქარხნის აგებაც, რათა „საბჭოთა სახელმწიფოსათვის დაზოგილი ყოფილიყო ათეული მილიონი მანეთი“.

წინასწარი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, სახკომსაბჭოსთან შეიქმნა სპეციალური „ფერომარგანეცის კომისია“, რომელსაც დაევალა ქარხნის აგებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის სასწრაფოდ გამოკვლევა და საკავშირო ორგანოებში განსახილველად სამრეწველო დავალების შედგენა. კომისიამ ეს დავალება უმოკლეს დროში შეასრულა და სადირექტივო ორგანოების მითითებით გადაწყდა ქარხნის სასწრაფოდ აგება იმ ვარაუდით, რომ ის მზად ყოფილიყო რიონჰესის ამუშავების მომენტისათვის.

პროექტების შედგენა ხელშეკრულებით გადაეცა გერმანულ ფირმას, სამონტაჟო ნაწილები დაკვეთილი იქნა საბჭოთა კავშირის ქარხნებში, ფერომარგანეცის ტექნოლოგიის დამუშავება პარალელურად დაევალა საბჭოთა სამეცნიერო ორგანიზაციებს, ქარხნის დაპროექტებისა და მშენებლობის მთავარ კონსულტანტად დაინიშნა ცნობილი საბჭოთა ელექტრომეტალურგი პროფ. კ. პ. გრიგოროვიჩი, რომელმაც უდიდესი შრომა გასწია პარტიისა და მთავრობის დავალების პირნათლად შესრულებისათვის. მისი წინადადებით, თბილისში (დიდუბე) აშენდა პატარა საცდელი ქარხანა, რომლის კოლექტივმა, პროფ. გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, ბრწყინვალედ შეასრულა თავისი დანიშნულება და უდიდესი დახმარება აღმოუჩინა ქარხნის სწორად დაპროექტებასა და მშენებლობას. ამ პატარა საცდელი ქარხნით დაიწყო განახლებული ქართული მეტალურგიის ახალი, საბჭოთა პერიოდის შესანიშნავი ისტორია.

1929 წელს, ზესტაფონის მახლობლად საყავრის მიდამოებში, სადაც ორიოდე ძველი სახლი იდგა, დაიწყო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მძლავრი ელექტრომეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. პატრიოტიზმის მაღალი შეგნებითა და შრომითი ენთუზიაზმით იყო აღგზნებული მშენებლობის თვითეული მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი.

ახლობელ სოფლებში შერჩეული იქნა მომავალი ქართველი მეტალურგები და ისინი სხვადასხვა კვალიფიკაციის მისაღებად საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ ქარხნებში გაიგზავნენ. კადრები მზადდებოდა მშენებლობის ყოველ უბანზე. ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტები, გატაცებით ამაღლებდნენ რა თავიანთ ცოდნას, კვალიფიკაციას, გაბედულად ასწორებდნენ გერმანული ფირმის მიერ დაშვებულ შეცდომებს.

დაკვრითი წესით შენდებოდა რიონჰესიც, რომელიც 1933 წლის 30 სექტემბერს ამუშავდა.

30 ოქტომბერს ქარხნის კოლექტივმა მოსკოვსა და თბილისს გაუგზავნა დეპეშა: „ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანამ 30 ოქტომბერს 15 საათსა და 37 წუთზე გამოადნო პირველი ფეროშენადნობი“.

ასე დაიწყო საქართველოში დიდიხნის ნანატრი ქარხნის მუშაობა.

მაგრამ დასაწყისში ის ყოველთვის კარგად როდი მუშაობდა. მას თან დაჰყვა ე. წ. „საყმაწვილო სენიც“:— გერმანელების მიერ დაპროექტებული ღუმელები არანორმალურად მუშაობდნენ და გეგმებს შლიდნენ. ახალგაზრდა ზესტაფონელ მეტალურგებს ხანგრძლივი და თავდადებული ბრძოლა დასჭირდათ, ვიდრე ღუმელებს აიძულებდნენ წესიერად ემუშავნათ. ინჟინრები და მუშები ამ ბრძოლაში ისე გამოიწვრთნენ და დახელოვდნენ, რომ როდესაც გერმანელმა სპეციალისტებმა უარი განაცხადეს ემუშავათ ერთ-ერთ ძალზე ცუდ ღუმელზე, მას ხელი მოკიდეს ჩვენმა ახალგაზრდა კადრებმა და უმოკლეს დროში მაღალხარისხოვანი ფეროშენადნობი გამოადნეს.

ქარხანას სულ ორიოდე სახესხვაობის ფეროშენადნობი უნდა გამოედნო, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მან ორ ათეულზე მეტი ფეროშენადნობი აითვისა.

ომის დროს ქარხანამ მიიღო დავალება სასწრაფოდ გამოედნო ერთ-ერთი ფეროშენადნობი. დავალების შესრულებაც თითქმის შეუძლებელი იყო კირქვის უქონლობის გამო, მაგრამ ქარხნის კოლექტივმა მეტალურგიულ პრაქტიკაში გაუგონარი ნაბიჯი გადადგა — კაზმიდან კირქვა საერთოდ გამორიცხა და მთავრობის დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. ასეთი მაგალითები იშვიათი არ იყო ქარხნის შემოქმედებით ცხოვრებაში.

ზესტაფონის ქარხანა ასევე წარმატებით ემსახურება ომის შემდგომდროინდელ პერიოდში საბჭოთა მეტალურგიის განვითარებას. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ქარხნის კოლექტივმა მიაღწია ახალი მნიშვნელოვანი ლითონის მასობრივ გამოშვებას, ხოლო ახალგაზრდა ინჟინრების — ბ. ლომთათიძისა და გრ. ხუციშვილის მიერ შემუშავებული ახალი ტექნოლოგია ახლა სხვა ქარხნებშიც არის დანერგილი. ზესტაფონის ქარხანას თამამად შეიძლება ქარხანა-ლაბორატორია ეწოდოს, რადგან აქ ფართოდ არის გაშლილი სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა და ქარხნის კოლექტივი ხშირად ნოვატორად გამოდის ახალი ტექნოლოგიის დამუშავებისა და მათი დანერგვის საქმეში.

ქარხანა ერთდროულად წარმოადგენს ახალი კადრების სამჭედლოს. ბევრი ახალგაზრდა ქარხნის უბრალო მუშა ახლა ინჟინრად მუშაობს. ყოველწლიურად იზრდება რაციონალიზატორთა რიგები და მათი წინადადებათა რაოდენობა, რომელთა განხორციელებით ქარხანა ყოველწლიურად რამდენიმე მილიონის ეკონომიას აღწევს.

ზესტაფონელი მეტალურგების შემოქმედებითი ზრდის საუკეთესო მაჩვენებელია, აგრეთვე ის, რომ მათ უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს ჩინეთის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის მეტალურგებს ხარისხოვან ფეროშენადნობთა ათვისებაში, ქარხნების მშენებლობაში და სათანადო კადრების მომზადებაში. ჩინეთის ახალგაზრდა კადრებმა ზესტაფონის ქარხანაში მიიღეს პირველი მეტალურგიული წვრთნა. აღნიშნულ რესპუბლიკებს ადგილზე უშუალო დახმარება გაუწიეს ქარხნის ინჟინრებმა — შალვა ფხაკაძემ, გრ. შათირიშვილმა და შ. თედოზაშვილმა, რისთვისაც ისინი მადლობის სიგელებითა და ადრესებით დააჯილდოეს.

ფეროშენადნობთა ქარხანამ მკვეთრად შეცვალა არა მარტო საყავრის მიდამოები, სადაც ახლა ქარხანასთან ერთად მუშათა მშვენიერი ქალაქია აგებული, არამედ ოდესღაც დუქნებისა და სამიკიტნოების ყოფილი დაბა ზესტაფონიც და ის ულამაზეს ქალაქად აქცია.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეროს ღუმელთან





შენადნობის ჩამოსხმა



ჩანართის ოთხივე გვერდზე მოთავსებულია მხატვარ ალ. ბანძელაძის ჩანახატები თემაზე: „ზესტაფონის ფერო“.



ცვლის დამთავრება



ამწეს წამყვანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეროს მოწინავე ბრიგადირი —
სოციალისტური შრომის გმირი
ბაგრატ მელქაძე





დილის საყვირის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზესტაფონი—სკვერი ფეროსთან

ქარხნის სტადიონზე



# გორელი მებაღეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ დავითაშვილი

ერთ ქართულ ძველ წიგნში ასეთი სიტყვები ამოვიკითხე: ხილი კვების მუსიკააო. ქართველები ოდითგანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ მებაღეობას. XVII საუკუნის შუახანებში საქართველოს სტუმარმა ჟან შარდენმა დაწერა: „...ქართული ხილი ძალიან კარგია, ხარობს ყოველგვარი ხეხილი. ევროპის არც ერთ ადგილას არ მოდის უკეთესი ვაშლი და მსხალი, ვერც აზიაში შევხვდებით უკეთეს ბროწეულს".

საბჭოთა წლების მანძილზე საქართველოში შესრულებული უდიდესი მუშაობის შედეგები მკაფიოდ დაეტყო ხეხილის ნარგავთა ფართობების ზრდას. 1926 წლისათვის ეს ნარგავები შეადგენდნენ 29.400 ჰექტარს, 1937 წელს გადიდდა 36.506 ჰექტარამდე, ხოლო 1956 წელს უკვე 106.500 ჰექტარი ეკავა. ასეთ ციფრებზე ჩვენში იტყვიან: „უკომენტაროდ ნათელიაო", მაგრამ უცხოელი უკომენტაროდ აქ იოლად ვერ წავა. ეს კომენტარებია საბჭოთა მებაღეების — თავიანთი მიწის, თავიანთი ბედის ბატონ-პატრონების შთაგონებული შრომის მაგალითები.

გორის რაიონში ბევრია კოლმეურნეობა, რომლებსაც ხილის უხვი მოსავალი მოჰყავთ დიდ ფართობებზე. უწინარეს ყოვლისა, ასეთია სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელი ქართლი". მისი ვაშლის ბაღების საშუალო საჰექტარო მოსავალი ოთხმოც ცენტნერს აღემატება; ასეთია სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვება", სადაც თავმჯდომარედ მუშაობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ ჯაშაშვილი; ასეთია ბევრი სხვა სოფლის კოლმეურნეობანი, სადაც ოდითგანვე მისდევენ მებაღეობას; დასასრულ, ეს არის სოფელ თორტიზის კოლმეურნეობა „წითელი თორტიზა", რომლის ბაღებიც ძირითადად აყვავდა სარწყავი არხებით გამოცოცხლებულ უშენ ადგილებზე. ამ კოლმეურნეობაზე მის თავმჯდომარეს სერგო ბერძენიშვილს, რომელიც უკვე მეოცე წელია მეთაურობს არტელს, შეუძლია ბევრი რამ საინტერესო გვიამბოს.

ომამდელ 1941 წელთან შედარებით ამ კოლმეურნეობის შემოსავალი 1957 წელს 15-ჯერ გაიზარდა. აქ ყოველ სახლში არის ელექტრონი და რადიო; სოფელს აქვს საკუთარი კლუბი, აბანო, წისქვილი, კარგი საწყობები, რომლებიც სავსეა კოლმეურნეობის დოვლათით. თორტიზელებს ხშირად უჩვენებენ ახალ კლუბში ახალ კინოფილმებს, ისინი ისმენენ რაიონული ცენტრიდან და თბილისიდან ჩასული სპეციალისტების ლექციებსა და მოხსენებებს, ბავშვები ადგილობრივ სკოლაში სწავლობენ. თორტიზაში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სოფელში, გამოიზარდა საკუთარი ინტელიგენცია: კოლმეურნეობის აგრონომი ვერა იოსებიძე, სკოლის დირექტორი გიორგი ახალკაცი, კოლმეურნეობის ბუღალტერი ლევან ჯაფარიძე, ფერშალი თინა კეთილაძე, აგროტექნიკოსი კოტე სირბილაძე, ელექტრიკოსი ვლადიმერ შერებაშვილი თორტიზელი კოლმეურნეების, უბრალო მებაღეების, მებოსტნეებისა და მეჰარხლეების შვილები არიან.

თორტიზაში არის საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელშიც ათასობით წიგნია. აქ განსაკუთრებით პოპულარულია ერთი წიგნი — ჩეხი მწერლის იან დრდას მოთხრობათა კრებული „წითელი თორტიზა". იან დრდა ამ სოფელში იყო ომისშემდგომ წლებში. კრებულის ერთ-ერთი მოთხრობა გვიამბობს მეგობრობაზე, რომელმაც დააკავშირა ჩეხოსლოვაკიის გლეხები ქართველ გლეხებთან, იმაზე, თუ რა ძმურ დახმარებას უწევენ საბჭოთა კოლმეურნეები ჩეხოსლოვაკელ მეგობრებს მათს ბრძოლაში სოციალიზმისათვის.

სოფელ კარალეთის კოლმეურნეობის წარმატებამ შარშან ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მეხილეობის კოლმეურნეობათა ზოგიერთი თავმჯდომარისათვის ჰექტარზე საშუალოდ 70-80 ცენტნერი ხილის მიღება ნაკლებად დასაჯერებელი საქმე იყო. ახლა კი სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში" მოსავლიანობის გადიდების ასეთი გზა უკვე გავლილია. არტელის თავმჯდომარემ მიხეილ ჯაშაშვილმა განაცხადა, რომ აქ 1955 წელს თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 64 ცენტნერი მოვიდა. ეს ცუდი მოსავალი როდია! 1957 წელს აქაურმა მებაღეებმა შეძლეს 123,4 ცენტნერი მიეღოთ. ამრიგად, ორ წელიწადში საშუალო მოსავლიანობა თითქმის 60 ცენტნერით გადიდდა. ბაღი კი აქ ცოტა როდია — 384 ჰექტარია.

ვაშლის ხეს ტირიფონის ველზე, მის სხვადასხვა ჯიშს აქაური ბაღების მთელი ფართობის სამ მეოთხედზე მეტი უკავია. მაგრამ დანარჩენი ბაღის ხეხილიც ანცვიფრებს ადამიანს ჯიშობრივი შემადგენლობის სიუხვით. მარტო ატამია აქ 160 სხვადასხვა ჯიშისა!

გორის კოლმეურნეობები თავიანთი საუცხოო პროდუქციის ასეთ უხვ მრავალფეროვნებას, უწინარეს ყოვლისა, უნდა უმადლოდნენ მიჩურინელ სელექციონერებს ელენე ერისთავსა და ვასილ ბესტავაშვილს. აუცილებლად უნდა ნახოთ „ერისთავის ბაღი" — გორის ხილ-ბოსტნის საცდელ-სასელექციო სადგურის მეხილეობის განყოფილება, რომელსაც განაგებს ელენე ერისთავი სოფელ ხიდისთავში და კოლმეურნე ბესტავაშვილის ნაკვეთი სოფელ წედისში. აქ არის ჩვენს ქვეყანაში კარგი გემოთი ცნობილი ახალი ჯიშის ატამი, „გორული საადრეო", „პიონერი", „ვარდისფერი ერისთავი", „ნობათი" (გამოიყვანა ელენე ერისთავმა), „წედისური", „ბესტავაშვილი" და „წედისური სახლეჩი" (გამოიყვანა ვასილ ბესტავაშვილმა).

ყველანი პატივისცემით წარმოთქვამენ საქართველოს ერთ-ერთი პირველი მიჩურინელი კოლმეურნის ვასო ბესტავაშვილის სახელს. მან მრავალი წლის ბეჯითი შრომა მოახმარა საყვარელ საქმეს.

ვასილ ბესტავაშვილი გაეცნო მიჩურინის ცდებს, გახდა მისი მგზნებარე მიმდევარი, შექმნა რა ატმის ბევრი შესანიშნავი ჯიში. თუმცა იგი ერთხელაც არ შეხვედრია განთქმულ მეცნიერს, მაგრამ მიჩურინის მეთოდები კარგი სახელმძღვანელო იყო კოლმეურნე მცდელისათვის. ბევრ გორელ მებაღეს ასწავლა წარჩინებულმა მიჩურინელმა ბაღის სწორად გაშენება, ნარგავთა უნარიანი მოვლა.

ამიტომ ყოველთვის, როცა გორელი მებაღეები ლაპარაკობენ თავიანთ წლითიწლობით მზარდ მეხილობაზე, მათ არ შეუძლიათ პატივისცემით არ მოიგონონ მიჩურინელი მებაღე ვასილ ბესტავაშვილი.

უჩვენებენ რა სტუმარს თავიანთ ბაღებს, გორელები, უწინარეს ყოვლისა, სიამაყით უამბობენ მას თავიანთ მიღწევებს, უამბობენ მებაღეობის ოსტატების შესახებ. მაგრამ ისინი ცხოვრობენ არა ძველი დამსახურებით, არამედ წინსვლისადმი მისწრაფებით. მოწინავეთა შორის შედეგები მნიშვნელოვნად უსწრებენ რაიონის მთლიან საშუალო მაჩვენებლებს. ჩივიან რა ამ სხვაობას, გორელები ამბობენ: ჩვენ გვესაჭიროება რესპუბლიკური ორგანოების დახმარება, გვესაჭიროება მანქანები.

— ბაღები უნდა გაფართოვდეს, — ამბობდა ერთ-ერთ რესპუბლიკურ თათბირზე კარალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ჯაშაშვილი, — მოსავლიანობა გადიდდეს, ბაღის სამუშაოთა მექანიზაციაზე, კი ნაკლებად ფიქრობენ. ათასობით ჰექტარ ბაღებს ხელით ვერ დაამუშავებს ადამიანი! ეს ერთი. ბაღის უმარტივესი ინვენტარის მწვავე საჭიროებას განვიცდით: ზოგჯერ ავტომობილის ყიდვა უფრო ადვილია, ვიდრე სეკატორის ან სამყნობი დანისა — ეს, ორი. ხანდახან თუ მოგვაწვდიან შხამქიმიკატებს — ესეც, სამი.

გორის რაიონის მეზობელი სამხრეთი ოსეთი, ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიანი კუთხეები, ხშირად ტყეებითაა დაფარული, მაგრამ ამ ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი ახლა არცთუ ჩვეულებრივი ტყეებია. სტალინირიდან ათიოდე კილომეტრს რომ გაივლით, ვანათის ტყიან ნაკვეთზე გახვალთ. ერთი შეხედვით, აქ თქვენ არაფერი გაგაკვირვებთ: არის ტყე, როგორიც ყველა ტყეა — მუხა, რცხილა, ხშირი ეკლიანი მაყვალი, ვეებერთელა გვიმრა და ოროვანდი. უცბად გაკვირვება შეგიპყრობთ: ხეებზე ჩანს ლამაზი დიდრონი ნაყოფი, რომლებშიც იცნობთ გორის რაიონის ბაღების ვაშლს „კეხურას", „ქართულ სინაპს", „აბელაურსა" და „ხეჭეჭურ" მსხალს.

გარეული ტყე-ბაღები ჩვენს ქვეყანაში ხშირად გვხვდება. ხეხილი, რომელიც თვით ბუნებამ შექმნა, იქ მთლიან მასივებს ქმნის, ანდა არეულია ტყის ჯიშის ხეებში. სამხრეთ ოსეთის ტყე-ბაღებში, რომლებსაც 31.000 ჰექტარამდე უკავია, იზრდება შინდი, კომში, ალუჩა, ზღმარტლი, ასკილი, თხილი, წაბლი, ქლიავი, ვაშლი, მსხალი, ბალი. მაგრამ ბაღის ხეების გარეული ჩამომავლობა წვრილ, მჟავე და მწარე ნაყოფს ისხამს. მაშ საიდან გაჩნდა ვანათის ტყიან ნაკვეთებზე ხეები, რომელთაც ისეთი მშვენიერი ხილი ასხია, როგორსაც ჩვეულებრივ მხოლოდ კულტურულ ბაღში ნახავს ადამიანი? ეს არის დამსახურება მებაღეობის ენთუზიაზისტების, რომლებიც ცოტა როდია აქაურ კოლმეურნეობებში. მათ საკუთარი ხელით გადააკეთეს გარეული ხეები კულტურულ ხეებად.

ასეთ სასწაულს ცოტა შრომა როდი დასჭირდა. შემოდგომაზე და ზამთარში გარეულხეებიანი ტყის ნაკვეთი გაიწმინდა, გათავისუფლდა სხვა ჯიშის ხეებისა და ბუჩქნარებისაგან; გაზაფხულზე დატოვებული ხეხილი (150-200 ძირი ჰექტარზე) გადაიჭრა მიწიდან 120 სანტიმეტრის დონეზე და ახალ გადანაჭერზე — „უნაგირივით ქერქს ქვეშ" — მათ დაამყნეს კულტურული ჯიშების კალმები. შედეგმა ასკეცად აანაზღაურა დანახარჯი: ტყე-ბაღებში მოყვანილი ხილის მოსავალი როდი ჩამორჩება ბაღისას, ხოლო ხილის ხარისხს მაღალ შეფასებას აძლევენ ყველა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. გარდა ამისა, კულტურული ჯიშების მყნობა გარეული ხილის ხეზე, ახალი ბაღების გაშენებასთან შედარებით, ორი-სამი წლით აახლოებს მსხმოიარობას და გაცილებით ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს, ხოლო მსხმოიარე ხეების მოვლა იმით ამოიწურება, რომ სარეველა მცენარეთაგან გაიწმინდოს ნაკვეთი.

გარეული ხეხილის გაკულტურება სამხრეთ ოსეთში ორი ათეული წლის წინათ დაიწყო აგრონომ სულიკო თიბილოვის ინიციატივით, და ამ სამუშაოს წლითიწლობით უფრო ფართო გაქანება ეძლეოდა. მაგრამ ჯერჯერობით მაინც გაკეთილშობილებულია სულ ბევრი გარეული ვაშლისა და მსხლის მეათედი ნაწილი. ტყის ყამირი უმდიდრეს რეზერვებს შეიცავს. სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს ეს რეზერვები აამოქმედონ უახლოეს წლებში, მთელი გარეული ხეხილი კულტურულად გადააქციონ.

მათ მაგალითს ბაძავს საქართველოს ბევრი სხვა რაიონი. რესპუბლიკის მთიან ტყეებში მყნობის საშუალებით უკვე გაკეთილშობილებულია 400 ათასზე მეტი გარეული ხეხილი; მეხილეობის ზონა ზღვის დონეზე 1.000 მეტრი სიმაღლიდან აყვანილია 1.700-1.800 მეტრამდე.

ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რათა ბაღები გაშენდეს ბუჩქნარით დაფარულ და ცარიელ ადგილებზე, ველებსა და მთებში, რათა მთელი საქართველო ბაღნარად იქცეს.

# სიმღერის მასწავლებელი

არჩილ ჩაჩიბაია

მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი.

მუსიკა ძალიან მიყვარს, თუმცა მუსიკოსი არც მამა მყოლია და არც დედა. გამოგიტყდებით, არც მე მისწავლია მუსიკალურ სასწავლებელში, მაგრამ მუსიკისადმი სიყვარული, თითქოს დედის ტკბილი სიმღერიდან დამყვა. საჯაროდ არასოდეს მიმღერია, მაგრამ, გულში ჩემთვის ჩუმად, ყოველთვის ვმღეროდი, თუმცა არა, კი არ ვმღეროდი, ტკბილად ვღიღინებდი. ზოგჯერ ხელში ის დალოცვილი მამა-პაპური ფანდური ამიღია და გულის ჯავრის გადასაყრელად ამიღუღუნებია. ამ ღუღუნს თან წაუღია ჩემი სევდა, ჩემი ნაღველი. ამის გამო გული ყოველთვის იქითკენ მიმიწევდა, საიდანაც მუსიკის ხმები სასიამოვნოდ ჟღერდნენ. ვერ წარმომედგინა ჩემი ცხოვრება მუსიკის, სიმღერის გარეშე. შევნატროდი სიმღერის მასწავლებლის ბედს და ყოველთვის ვცდილობდი ისეთ სკოლაში გავეგზავნეთ, სადაც სიმღერის კარგი მასწავლებელი მუშაობდა.

და აი, სექტემბრის ბოლო რიცხვებში, სოფელ კლდისას შვიდწლიანი სკოლის დირექტორად დამნიშნეს. კლდისა რკინიგზის სადგურიდან ოცდათვრამეტი კილომეტრითაა დაშორებული. გზა მიჰყვება ფიჭვის, ნაძვისა და სოჭის ხეებით ჩაბურვილ ხეობას. ბუნების ასეთი წარმტაცი სურათები მე ჯერ არ მენახა. ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი ყველაფერს. ხარბად ვისუნთქავდი სუფთა და სურნელოვან ჰაერს. მაღლიდან კრიალა ცა დაგვყურებდა. გულზვიადად აღმართულ მთებიდან თუ კლდეების ნაოჭებიდან ჩამოძეწკვილი ფშეები ხეობის სიღრმეში ხან აქ, ხან იქ ვერცხლისფრად გაელვარდებოდა. გზა ხან კლდეების თავზე მოექცეოდა, ხან კლდეებში გაყვანილ ნესტიან გვირაბში გაიქროლებდა.

შორს არწივის ბუდესავით გამოჩნდა სოფელი კლდისა, მართლაც, მონაცრისფრო და მოჟანგისფრო კლდეების ფრიალოებით ჩაჩეხილ-ჩაჭმუჭვნილი. მოლურჯო ბინდებში ჩახვეული უშფოთველი სივრცე, უტეხი ტყე, მარადიული ყრუ დუმილით მოცული უფსკრულები, ჯერ განუცდელ უსიამოვნო წინათგრძნობით ბოჭავდა გულს: არა, აქ დიდხანს ვერ გავძლებ.

მაგრამ...

სკოლის ეზოში რომ შევედი, საკლასო ოთახის ღია ფანჯრებიდან მოსწავლეთა სიმღერა შემომესმა. გამიკვირდა. კვირა საღამო იყო. უქმე დღეს და, ისიც ასე გვიან მოსწავლეებს სკოლაში რა უნდათ-მეთქი.

ისინი მღეროდნენ. სიმღერის ხმებმა გამიტაცა. რა მეგონა რომ ამ მიყრუებულ სოფელში ვიპოვიდი იმას, რაც მე ასე მახარებდა, მაფრთოვანებდა, ხალისს მმატებდა.

ვიფიქრე, ალბათ, სიმღერის მასწავლებელი ბავშვ მომღერალთა გუნდს ამეცადინებს-მეთქი. ფრთხილად შევაღე საკლასო ოთახის კარები. მინდოდა მას გავცნობოდი, მაგრამ ოთახში მხოლოდ მოსწავლეები იყვნენ.

— მეცადინეობთ? — შევეკითხე.

— დიახ!

— ოლიმპიადისათვის ვემზადებით! — მიპასუხეს.

მათ ხომ არ იცოდნენ ჩემი ვინაობა და ცნობისმოყვარეობით მიცქეროდნენ.

— სიმღერის მასწავლებელი ჯერ არ მოსულა? — შევეკითხე მათ.

— როგორ არა, პატივცემულო!

— აი, ახლა აქ იყო.

— შვილი, უცებ ავად გაუხდა და სახლში წაიყვანა! ასე გვითხრა, ახლავე დავბრუნდებიო! — სხაპასხუპით მითხრეს მოსწავლეებმა.

დავინტერესდი: მინდოდა ყველაფერი დაწვრილებით გამეგო და კვლავ მათ მივმართე:

— ვინ არის თქვენი სიმღერის მასწავლებელი?

— ნადე გედევანიძე, პატივცემულო! — მივიღე პასუხი.

— შვილი აქ ყავდა?

— დიახ, დიახ... ის ჩემთან სწავლობს მეოთხე კლასში, — დაიწყო ბაბთიანმა გოგონამ, — იას ეძახიან. ისე ცუდად გახდა, დღეს სულაც ვერ იმღერა! — ნაღვლიანად დაასრულა მან.

— ყელი ასტკივდა და იმიტომ, — დაუმატა ვიღაცამ.

ფანჯრის რაფაზე დოლი და ფანდური შევნიშნე. ფანდურის დანახვაზე, რაღაც სასიამოვნო გრძნობამ ამიტაცა და წუთით მისი ღუღუნი მომენატრა.

— ფანდურს რომელი უკრავს? — შევეკითხე მათ.

— ია უკრავდა, პატივცემულო... წამოიძახა ერთმა.

— ლიანაც უკრავს, პატივცემულო, ლიანაც! — მიმითითეს ფართობაბთიან გოგონაზე.

ლიანამ დაიმორცხვა.

ფრთხილად ავიღე ფანდური, გავსინჯე, აწყობილი იყო თუ არა, მერე ღიმილით გადავეცი ლიანას და ვუთხარი — დაეკრა, რაც იცოდა.

ლიანამ ფანდური გამომართვა. მოსწავლეები მხიარული სახით გარსშემოგვეხვივნენ. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ისინი ლიანას ამხნევებდნენ: — დაუკარ ლიანა, დაუკარი და გვასახელეო.

ლიანა იქვე სკამზე ჩამოჯდა და ფანდური ტკბილად ააღუღუნა.

არასოდეს არ განმიცდია ასეთი სიხარული, ბავშვების მიამიტურ ქცევაში. ფანდურის ხმებსა თუ მოსმენილ სიმღერებში ჩანდა ნორჩი სიცოცხლის მთელი მომხიბვლელობა. ვგრძნობდი სიმღერის მასწავლებელმა მათ არა მარტო შეასწავლა სიმღერა, არამედ შეაყვარა კიდევაც.

ყოველწუთს მოველოდი სიმღერის მასწავლებლის მოსვლას, რათა ჩემი აღფრთოვანება მისთვის გამეზიარებინა, მაგრამ მან შემოთვალა, ია ძალიან ცუდად შეიქნა და ამის გამო დაბრუნება აღარ შემიძლიაო.

მოსწავლეები დანაღვლიანებულნი შინისკენ წავიდნენ.

ამ წუთებიდან მე უკვე გამიჩნდა საზრუნავი.

* * *

მეორე დღეს, ორშაბათ დილით, სკოლის მასწავლებლებს გავეცანი. სიმღერის მასწავლებელი მათ შორის არ იყო: იას დიფტერიტი შეჰყროდა, ეს დროზე ვერ გაეგოთ, შრატი ძალზე დაგვიანებით გაუკეთეს და გადარჩენის არავითარი იმედი არ იყო. ყველა მწუხარებამ და სინანულმა მოიცვა. ვინ იას მიხასიათებდა, ვინ ნადეს. ია, მეოთხე კლასის წარჩინებული მოსწავლე ყოფილა. სასიამოვნო ხმა ჰქონია. ის მასავით პატარა ლიანასთან ერთად მომღერალთა გუნდის სული და გული ყოფილა. ია და ლიანა ერთ მერხზე ისხდნენ. ერთმანეთი ისე უყვარდათ, რომ ყოველთვის ერთად დადიოდნენ, ერთად ამზადებდნენ გაკვეთილებს, ერთად ცელქობდნენ და მღეროდნენ. სახითაც ერთიმეორეს ისე გავდნენ, დები გეგონებოდათ.

არ ვიცი, მეჩვენებოდა, თუ იმ დღეს ჩემთვის განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა იგი, გულატირებული და ღრმად დადარდიანებული ჩანდა.

„ია არ გადარჩებაო", — გაეგოთ ბავშვებს და თვალები ცრემლებით ჰქონდათ სავსე. კლასის ხელმძღვანელს მათთან საჭირო საუბარი ჩავატარებინე. ამის შემდეგ კლასში იმედიანი გამოცოცხლება თანდათან შესამჩნევი გახდა. საღამოს მომღერალთა გუნდის მეცადინეობა დავნიშნე. მეცადინეობას მეც დავესწარი. ლიანა მაინც ნაღვლიანად გამოიყურებოდა. ასე იყო თუ ისე, კლასის ხელმძღვანელმა მომღერალთა გუნდს შესწავლილი სიმღერები გაამეორებინა. სიმღერის საამო ხმები ნორჩ გულებს სიცოცხლის ზეიმისკენ უხმობდა, აღაფრთოვანებდა. ვატყობდი, ბავშვები, რაც უფრო მეტს მღეროდნენ, მით უფრო ხალისიანი ხდებოდნენ. ლიანაც გამხიარულდა. ფანდური ააღუღუნა. ბავშვთა გუნდი შესწავლილ სიმღერებს თანდათან უფრო ხმაშეწყობილად და სასიამოვნოდ მღეროდა. ამით ძალიან კმაყოფილი ვიყავი. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვებთან კლასის ხელმძღვანელი დავტოვე და ფიზიკის კაბინეტში შევედი. ხვალ ფიზიკის გაკვეთილი პირველად უნდა გადამეცა, ცდების ჩასატარებლად სათანადო ხელსაწყოები მინდოდა შემერჩია. ბავშვთა სიმღერა ფიზიკის კაბინეტში გარკვევით მესმოდა. უცებ სიმღერა შეწყდა. სმენა დავძაბე. ტირილი მომესმა. გარეთ გამოვიჭერი.

— ია გარდაიცვალა! — მომესმა.

* * *

ვის შეუძლია იმ განცდების გადმოცემა, რომელსაც ნადეს შეძრწუნებული სული მოეცვა: მისი შეშლილი სახე, ჩამოშლილი თმებით დაფარული ჩამოკაწრული ლოყები, უიმედოდ მბჟუტავი შავი თვალები და ჩახლეჩილი ხმით მოთქმა...

— ანგინა ეგონათ და დიფტერიტმა კი დაახრჩო ჩემი პატარა მტრედი! — ცხარე ცრემლებით დასტიროდა იგი საყვარელ შვილს.

ია ნადეს ერთადერთი შვილი იყო. როგორ ოცნებობდა მის ბედნიერებაზე და აი, ეს ოცნება საბოლოოდ დაემსხვრა. ბავშვის დაკრძალვის შემდეგ იგი ფერმიხდილი, შავი კაბით და შავი თავსაფრით დილით და საღამოთი სასაფლაოზე დადიოდა.

ყოველნაირად ვცდილობდით ნადესათვის მწუხარება შეგვემსუბუქებინა. და განა მარტო ჩვენ? მთელი სოფელი, დიდი და პატარა ნადეს იმედად მხარში ედგა.

და ეს არც იყო გასაკვირი!

ნადე სოფელში ყველას უყვარდა. ოცი წლისა იყო სიმღერის მასწავლებლად რომ დაინიშნა. რვა წელი განუწყვეტლივ კლდისაში სიმღერის მასწავლებლად მუშაობდა. კლდისა არც ისე დიდი სოფელია და ნადეს ყველა მოსწავლის ოჯახი იცნობდა, როგორც ბავშვების აღმზრდელსა და მეგობარს. კოლმეურნეობაში მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა და რაიონულ ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაიკავა. მეუღლე ომში დაღუპოდა და თავისი მომავლის მთელ იმედს იაზე ამყარებდა.

— არა, სულით არ დავეცემი. უმამობას იას, მაინც არ ვაგრძნობინებ! — ასე ამბობდა და აი, ახლა იაც ხელიდან გამოეცალა.

„ნუთუ მის სახეზე ღიმილს კიდევ ვინმე შეამჩნევს?“ — არ შეიძლებოდა ასე არ გეფიქრათ, როდესაც მის სანთლისფერ სახეს შეხედავდით, რომელსაც მწუხარების, უიმედობისა და განწირულების მკრთალი კრთომანი მღვრიე სიყვითლით ამღვრევდა.

ნადეს სახლის წინ ყოველდღე გაივლიდა სკოლისაკენ მიმავალი და სკოლიდან დაბრუნებული ლიანა. პირველ ხანებში ნადე სახლის ფანჯარასთან იდგა, აქედან შესცქეროდა მას. ლიანაც ყოველთვის ნადეს სახლისკენ იცქირებოდა, თითქოს იას გამოჩენას ელოდებაო. ნელა ჩაივლიდა ლიანა სახლის წინ და მაშინ ნადე კარებს ფრთხილად გააღებდა, აივანზე გავიდოდა და შესცქეროდა გოგონას მანამ, სანამ თვალებს არ მიეფარებოდა.

პირველ ხანებში ლიანას დანახვაზე ცხარე ცრემლებით ტიროდა და, თუ ახლოს არ მიდიოდა მასთან, მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნდოდა სიცოცხლით სავსე პატარა გული შეეშფოთებინა, თუმცა ძალიან სურდა ლიანა ყოველთვის მასთან ყოფილიყო, რადგან მის სახეში, მის ქცევაში ცოცხალი სახით ელანდებოდა იას სათნო სახე. იას ქცევა. შორიდან ცქერით ნადეს სულიერი მღელვარება თანდათან უძლიერდებოდა და ამის გამო ერთხელ მტკიცედ გადაწყვიტა სკოლიდან დაბრუნებულ ლიანას გამოლაპარაკებოდა. ნამტირალევი თვალები ამოიწმინდა, თავი ისე დაიჭირა, რომ სულიერი ტანჯვა ბავშვისათვის არ ეგრძნობინებინა, სახლის წინ დაუხვდა და შინ შეიყვანა. მოეფერა. გამოკითხა შინ შესასწავლად ქართულ ენაში რა ჰქონდა მიცემული. ლიანამ ჩანთიდან თავისი წიგნი ამოიღო და მოთხრობაზე მიუთითა. ნადემ ის წიგნი აიღო, გადაშალა, მონახა მოთხრობა და გადაშლილი წიგნი იას მაგიდაზე დადვა, თითქოს საცაა ია უნდა მოვიდეს და მეცადინეობა დააწყებინოსო. ამის შემდეგ ლიანას ჰკითხა, ხომ კარგად სწავლობო, დაარიგა ისე, როგორც იას დაარიგებდა ხოლმე, სიყვარულით გადაუსვა თმებზე ხელი, ასევე სიყვარულით გაუსწორა თეთრი და ფართო ბაბთები. დიდხანს, ძალიან დიდხანს მდუმარედ შეჰყურებდა ლიანას, რომელიც თავდაღუნული იდგა. იამაც ასე იცოდა დგომა უფროსის წინაშე. ბოლოს გულმა ვერ მოუთმინა და შუბლზე აკოცა. პატარა ლიანა სიყვარულით მიეკრა ძვირფასი მასწავლებლის გულმკერდს. ნადეს ცრემლის წვეთები ჩამოუცვივდა, მაგრამ ეს ლიანასათვის არ უჩვენებია.

აი, ამ დღიდან არ შეიძლებოდა ნადეს ლიანა ყოველდღე არ ენახა, შინ არ შეეყვანა, არ გამოლაპარაკებოდა, ხან იას ფანქარს აძლევდა, ხან იასათვის ნაყიდ სუფთა რვეულებს. ზოგჯერ ლიანას საშინაო წერით დავალებებს გადაათვალიერებდა, უხსნიდა რა შეცდომები ჰქონდა დაშვებული და როგორ უნდა გაესწორებინა.

ჩვენი სკოლის მასწავლებლები ყოველდღე მასთან დადიოდნენ. ის აცრემლებული გვიყვებოდა იაზე თუ როგორ აიდგა ფეხი, როგორ უყვარდა სკოლა, მასწავლებლები, ამხანაგები. ვცადე სკოლის ცხოვრების ფერხულში კვლავ ჩამება იგი და მორიდებით, ფრთხილად ვკითხე:

— ნადე, სკოლაში როდის აპირებთ მოსვლას?

— არც არასდროს, პატივცემულო ლევან! — მითხრა მან.

* * *

ოლიმპიადის დღეები ახლოვდებოდა; მომღერალთა გუნდის მეცადინეობა ჩაშლილი იყო. სიმღერის გაკვეთილები ცდებოდა. რამდენი არ ვეცადე, როგორმე სიმღერის მასწავლებელი მომეწვია, მაგრამ ვერავინ გამოვნახე. ნადე განდგომილი და გულჩათხრობილი იყო და მას არ შეეძლო სიმღერის გაკვეთილების ჩატარება. ვამჩნევდი, ის, ახლა, ცხოვრების დიდ დინებიდან ამოვარდნილი იყო. ერთადერთი, რაც მას სკოლის ცხოვრებასთან აკავშირებდა, ეს იყო ლიანასთან შეხვედრა და გასაუბრება.

— ლიანა! — როგორღაც ჰკითხა ერთხელ სკოლიდან დაბრუნებულს — ახალი სიმღერა არაფერი გისწავლია?

— პატივცემულო მასწავლებელო, თქვენს შემდეგ ჩვენ სიმღერას არავინ გვასწავლის! — ნაღვლიანად მიუგო ლიანამ და გაირინდა.

ნადე პირველად ახლა მიხვდა თუ, რამდენი სიხარული წაართვა მისმა პირადმა უბედურებამ ბავშვებს.

გული ეტკინა.

— მაშ, სიმღერას აღარ სწავლობთ, არა? მაშ, აღარ მღერით, ხომ?—ნელა ოდნავ გასაგონი ხმით, თითქოს თავისთვის წაილაპარაკა ნადემ, მაგრამ ლიანას ხმა არ გაუღია. მისმა დუმილმა ნადე კიდევ უფრო შეაწუხა. აი, ის მივიდა იას მაგიდასთან, ფანდური აიღო, ლიანა მკერდში ჩაიკრა, აკოცა და უთხრა:

— აი, იას ფანდური. ეს დღეიდან შენია, ჩემო პატარავ, გესმის, შენია! გაუფრთხილდი, მოუარე და დაუკარი ისე, როგორც მას ია უკრავდა!

ლიანამ ფანდური მორიდებით გამოართვა და საყვარელ მასწავლებელს გადაეხვია.

ლიანა წავიდა, ფანდური თან წაიღო და ახლა კიდევ უფრო ძლიერად, ვიდრე ოდესმე, აწუხებდა შემაშფოთველი აზრები: ნუთუ ის სკოლის ცხოვრებიდან კვლავ განზე უნდა იდგეს? ნუთუ მასში საბოლოოდ ჩაკვდა სიყვარული სიცოცხლით სავსე ბავშვებისადმი, რომლებსაც ყოველთვის სიმღერის შესწავლით სილაღეს, ხალისიანი ცხოვრების ტრფიალს უნერგავდა?

გადიოდა დრო. სევდა და წუხილი გულს, მართალია, არ შორდებოდა, მაგრამ სიცოცხლემ კვლავ ცხოვრების ფერხულისაკენ მოუხმო ნადეს: „ქვეყნისათვის შენ საჭირო ხარ. მოსწავლეთათვის განა მასწავლებელზე ძვირფასი ადამიანი ვინმე არის? და განა მარტო მოსწავლეთათვის? მთელი ხალხი თვალის ჩინივით უფრთხილდება კარგ მასწავლებელს, შვილების აღმზრდელს, — ჩასჩურჩულებდა ხმა იდუმალი. — შენც, ხომ გყავდა მასწავლებელი და იგი დღესაც გიყვარს. მისი დღესაც კი გერიდება. დაინახავ თუ არა, თვალები გაგიბრწყინდება, მაგრამ ღრმა პატივისცემისა და მორიდების გრძნობა სახეს ძალაუნებურად აგილეწავს. ხომ იცი, რამდენ სიამოვნებას განგაცდევინებს მასთან საუბარი, მასთან ყოფნა. განა, იმ შენს პატარა მოსწავლეებს, შენზე უკეთესი ვინმე ეგულებათ? შენს დანახვაზე მათი გულები სიხარულისაგან თითქოს მზად არიან, რომ ამღერდნენ, დიახ, მათ პატარა გულებს იდუმალი სიხარული თუ აღტაცება სიმღერისაკენ სწრაფვით აღანთებენ. ეს იმიტომ, რომ შენ მათ უყვარხართ, დიახ, უყვარხართ და მიტომ გელიან, გესმის? გელიან“.



გონება გრძნობას თანდათან ძლევდა.

„შვილი ვის არ მოკვდომია? — კვლავ ჩურჩულებდა იგივე ხმა. — მაგრამ ცხოვრებას შებრძოლებია, სიცოცხლისათვის უზრუნვია. ამის მაგალითს სხვებს შენ უნდა აძლევდე, გესმის? შენ თვითონ უნდა ასწავლიდე სხვას როგორ გამოვიდეს მძიმე სულიერ მდგომარეობიდან, სულიერ მხნეობას მიეცეს და ხვალინდელ დღეზე ზრუნვა დასახოს იმედად“.

რაც დრო გადიოდა, ნადეს სკოლისაკენ ლტოლვა თანდათან მეტი სიძლიერით უფორიაქებდა გონებას, გულს. ზოგჯერ რაღაც საოცრად ბოჭავდა ამ სწრაფვას, მაგრამ გონების თვალით რომ წარმოიდგენდა ბავშვებით სავსე ხმაურიან სკოლის ეზოს, სილაღით აღტაცებულ ბავშვთა ჟრიამულს, ღრმად უფიქრდებოდა თავის ქცევას. ის ერთგვარ შვებას მაშინ გრძნობდა, როდესაც მასწავლებლები მასთან მოვიდოდნენ. ისინი გატაცებით უყვებოდნენ ხოლმე სკოლის ამბებს, ახასიათებდნენ მოსწავლეებს და მაშინ ნადე ისე გრძნობდა თავს, თითქოს იგი კვლავ სკოლის ცხოვრების ფერხულში იყო ჩაბმული. მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა მაშინ, როდესაც მისი მოსწავლეები, გაკვეთილების შემდეგ, ყოველდღიურად, წიგნების ჩანთებით ხელში, რამდენიმე წუთით ჯგუფ-ჯგუფად მასთან შემოვიდოდნენ. მაშინ ის იღიმებოდა, მათ ეალერსებოდა, თვითეულ მათგანს გულში იხუტებდა. იმ წუთებში მათი ალერსით იყო დამტკბარი და ბედნიერი.

და აი, ერთ დღეს, სკოლის ეზოში ნადე გამოჩნდა. ის მიდიოდა თავჩაღუნული, ნელ-ნელა, თითქოს სკოლის შენობასთან მიახლოება უმძიმსო. გაკვეთილები მიმდინარეობდა. დერეფანში, ეზოში, არავინ ჩანდა. იქნებ განგებ შეარჩია მან ასეთი დრო, რათა არავინ შეხვედროდა, არავის გამოლაპარაკებოდა? იქნებ სკოლის ცხოვრების ფერხულში ჩაბმის მძაფრმა სურვილმა სძლია უმოქმედობის, სკოლის ცხოვრებიდან განდგომის ცივ გრძნობას? იქნებ, სიმღერის საამო ჰანგებმა კვლავ გაუღვიძეს სიცოცხლისადმი ტრფიალი და გადაწყვიტა თავის საყვარელ საქმეს დაბრუნებოდა?

მისმა გამოჩენამ გამახარა. მივეგებე. ჩემი აღტაცება მისთვის არ დამიმალავს.

— მჯეროდა, რომ მოსწავლეებს ვერ მიატოვებდით — ვუთხარი მორიდებით.

სამასწავლებლოში შესული უხმოდ დაჯდა მაგიდასთან და ღრმად ამოისუნთქა.

— ვერა, ბავშვების გარეშე, მართლაც არ შემიძლია ყოფნა — ჩუმად ჩაილაპარაკა.

დადგა შესვენების წუთები. სამასწავლებლოში შემოსული მასწავლებლები ნადეს ეხვევიან, კოცნიან, იმედიან სიტყვებს ეუბნებიან, ამხნევებენ. მალე გაკვეთილების დაწყების ზარიც დაირეკა. ნადეს სახეზე თავშეკავებული მღელვარება შევნიშნე. კედელზე გაკრულ გაკვეთილების ცხრილს დააცქერდა. მეოთხე კლასში სიმღერის გაკვეთილი უნდა ჩატარებულიყო. ადგა. მალე საკლასო ჟურნალი აიღო. ყველა მას მიაცქერდა: — ყველა გრძნობდა, გაკვეთილზე მისი შესვლა იმას ნიშნავდა, რომ სიცოცხლის, სიმღერისა და ხალისიანი ცხოვრების მოტრფიალე გულმა დასძლია განდგომა, ცრემლნარევი დღეების უმძიმესი განცდები.

აი, მან ნელა შეაღო საკლასო ოთახის კარები. სიმღერის მასწავლებლის მოულოდნელმა გამოჩენამ მოსწავლეები ერთბაშად გაახარა, მაგრამ ნადეს მწუხარე სახის დანახვაზე თითქოს გონს მოვიდნენ, დაწყნარდნენ, ხალისიანი ჩოჩქოლი უცებ შეწყდა და თავი ჩაჰქინდრეს.

ნადეს ხმა არ ამოუღია. ის მიაჩერდა იმ მერხს, სადაც ია იჯდა. იას ადგილი არავის დაუკავებია, ხოლო იქვე, გვერდით, ჩვეულებრივად იჯდა ლიანა და იმა-

საც თავი ჩაექინდრა. ნადე მას მიაჩერდა. გაქვავდა, მზერაც გაეყინა. ბაგეები აუთრთოლდა, თვალებში თითქოს ცრემლის წვეთებიც ჩაუდგნენ, მაგრამ ბავშვებს ცრემლები რომ არ ენახათ, სწრაფად (თანაც მოხერხებულად) მოიწმინდა. აი, საკლასო ჟურნალი გადაშალა, მოსწავლეთა სია ისე ამოიკითხა, რომ მათთვის ზედაც არ შეუხედაია. სახე გაუფითრდა, ხმა აუკანკალდა, ხელიდან კალმისტარი გაუვარდა.

მოსწავლეთა წინაშე იდგა შავებში გამოწყობილი სიმღერის მასწავლებელი, ხოლო პირველ მერხზე არ იჯდა ია.

ნადემ თავი ოდნავ მაღლა ასწია. გადმომხედა. არ ვიცი ჩემს სახეზე რა ამოიკითხა, უცებ მოსწავლეებს მიმართა:

— აბა, გავიხსენოთ, უკანასკნელად, რომელი სიმღერა ვისწავლეთ?

მოსწავლეები სდუმან. სდუმს ნადეც. ძალაუნებურად საკლასო ჟურნალს ხელი შეავლო, დაკეცა, მაგიდაზე დადვა. გამოერკვა: ჟურნალი კი არ უნდა დაეხურა, პირიქით, გადაეფურცლა და უკანასკნელად ჩატარებული გაკვეთილის შინაარსი ამოეკითხა. მიხვდა, ეს მღელვარებისაგან მოუვიდა. ჟურნალი აცხაცახებული ხელით გადაშალა. ჩააცქერდა.

— ლიანა! — გამოიძახა მან. — აბა, სასიმღერო ლექსი მოგვაგონე!

ლიანა უხალისოდ ადგა.

— აბა, ლიანა, თქვი, მოგვაგონე! — გაუმეორა წყნარად.

ლიანამ თვალები გაუსწორა.

ნადე ერთბაშად შეკრთა.

იქნებ იას სახე წარმოუდგა თვალწინ?

იქნებ ჰგონია ეს იას თვალებია ასე დაბნეულად რომ შემოაჩერდა?

იამაც ხომ ასე იცოდა შემოხედვა, მაგრამ ის უფრო თამამად და ხალისიანად შეჰყურებდა დედას, ნელა იღიმებოდა, სიხარულისაგან სახე სასიყვარულოდ უბრწყინავდა. დიახ, ნამდვილად ასე იყო, მაგრამ ეს, ახლა, ნაღვლიან მოგონებად თუ რჩება.

აი, ლიანამ დაიწყო:

„მზემ გაგვახარა, დაგვათბო,
დადნა ყინულის ლოლუა"...

ბავშვები შეიშმუშნენ.

ლიანამ სასიმღერო ლექსი დაამთავრა და დაჯდა.

ნადეს არაფერი უთქვამს. ძნელი იყო გაგეგო, თუ რას ფიქრობდა ის ამ წუთებში. ვამჩნევდი, მის სახეს მკაცრი სიცივე ეფინებოდა, მაგრამ ბავშვებს სათითაოდ შეხედა, ოდნავ ჩაახველა, მაგიდას მოშორდა და მერხთან ახლოს დადგა.

— აბა, ახლა, სიმღერა დავიწყოთ! — მიმართა მან მისუსტებული ხმით მოსწავლეებს.

ხმას არავინ იღებს, ბავშვები სდუმან, კვლავ თავჩაქინდრულნი სხედან.

უწინ, ნადე, როკორც მიმართავდა მოსწავლეებს — აბა, სიმღერა დავიწყოთო, პირველად ია ამღერდებოდა. ახლა მისი ხმა არ ისმოდა, ხოლო დედამისი მოსწავლეთა წინაშე იდგა ფერმკრთალი, უძრავი და ცივი.

— აბა, თავი მაღლა ასწიეთ! — ცოტა ხნის შემდეგ მტკიცედ მიმართა მან მოსწავლეებს, — აბა, ყველამ მე შემომხედოს!

ბავშვებმა ნელ-ნელა ასწიეს თავი მაღლა და გაკვირვებული სახით ნადეს მიაჩერდნენ.

— სიმღერა ერთად უნდა დავიწყოთ, გესმით, ყველამ ერთად უნდა ვიმღეროთ!

როგორც მოსწავლეები, მოელოდნენ მასწავლებელი ისე მოიქცეოდა. სწორედ, ამიტომ ყველა, როგორც ერთი ნადეს მიაცქერდა. ახლა, თითქოს ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ დიდი ხნის შემდეგ, მეოთხე კლასში, სიმღერის ხმები აგუგუნებულიყო, სიმღერა კვლავ გაგრძელებულიყო და სიცოცხლის სიხარულს აეტაცნა ბავშვთა გულები, მაგრამ მოსწავლეთაგან ხმას კვლავ არავინ იღებდა:



მგლოვიარე მასწავლებლის მწუხარე სახე ბოჭავდა მათ სითამამეს. ეს ნადემ იგრძნო და ამიტომ პირველად მან თვითონ დაიწყო:

— მზემ... გაააგვა... ხარაა...

თითქოს ჩიტების გუნდი აჟღრიალდაო, ჯერ გაუბედავად, დაფანტულად, მაგრამ შემდეგ თანდათან ხმაშეწყობილად გაისმა მათი სიმღერა:

„მზემ გაგვახარა, გვაცხუნა
სხივები უკვდავებისა"...

სიმღერის ხმებმა თან წაიღეს ნაღველი. ფრთხილად დავსტოვე საკლასო ოთახი. სამასწავლებლოში შევედი. სიმღერა კვლავ გრძელდებოდა, სიმღერა მზეზე, სიცოცხლეზე, სიხარულზე.



# იაკინთე ლისაშვილი

ცნობილი ქართველი მწერლის იაკინთე ლისაშვილის რომანები და მოთხრობები პოპულარობით სარგებლობენ არა მარტო ჩვენს მკითხველთა შორის.

მისი რომანი „კეცხოველი" თარგმნილია რუსულ და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ენებზე, სადაც მან მაღალი შეფასება მიიღო.

ამას წინათ ი. ლისაშვილს შეუსრულდა დაბადებიდან 60 წელი. მწერლის იუბილე ფართოდ აღინიშნა საქართველოს მწერალთა საზოგადოებრიობამ.

---

გრ. ცეცხლაძე

## ქართველი მწერლები ავეტიკ ისააკიანის საფლავთან

ესალმებოდა დაისი ქალაქს,
მზემ არარატი ააკიანთა,
როს მივაღწიეთ ჩვენ წმიდა
ალაგს, —
ვარდებით მიველთ ისააკიანთან.

სასაფლაოსთან ჩვენ დაველოდეთ,
შუქს დაველოდეთ ერევნის
მთვარის,
თავს დავცქეროდით მდუმარე
ლოდებს
და ვიგონებდით აბულ-მაარის.

სომხური ლექსის შნო და ჯავარი
ააკაშკაშა ქართულმა ენამ,
ნათელს გვაფენდა ერევნის მთვარე
და არარატმაც მოგვაპყრო სმენა.

ან. გელოვანი

## შენ არ გინახავს...

შენ არ გინახავს შხელდა,
შენ არ გინახავს ნაკრა,
ფერი ეცერის ველთა,
ჩემი მარადი ნატვრა?

შენ არ გინახავს შხარა,
ზეცის ნათელი სვეტი,
კლდეში გაბმული შარა,
ასციხიანი სეტი?

შენ არ გინახავს ზვავის
შეხლა ვედრულას წყალთან,
უშბის ჭაღარა თავი,
ვედის ტყეების კალთა,

სვანეთის ზეცა ლურჯი,
ენგურის თეთრი ქაფი,
ცხენი, სადავის ურჩი,
ელვის ენებზე სწრაფი?

შენ არ გინახავს ჯიხვის
მთით გადმომდგარი სახე, —
და ამის შემდეგ ითქმის,
რომ საქართველო ნახე?



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წიგნების სამყაროში

### ბრძენი ბიდპაის მოგზაურობა დედამიწის ირგვლივ

მეტად საინტერესო გზა გაიარა ინდოეთის ერთ-ერთმა უშესანიშნავესმა წიგნმა „პანჩატატრამ“ (ხუთწიგნეული). რომელიც დამსახურებულად ითვლება ინდოეთის საუცხოო პოეტურ ნაწარმოებად.

ამ იგავების ავტორად მიჩნეულია ლეგენდარული ბრაჰმანი ვიშნუშარმანი, რომელმაც შეთხზა ისინი სამხრეთ ინდოეთის ერთ-ერთი ძლიერი და განათლებული მფლობელის დაკვეთით. II და VI საუკუნეების შორის შექმნილი 70 იგავიდან და მოთხრობიდან უმრავლესობა ითარგმნა თითქმის ყველა უძველეს და თანამედროვე ინდურ ენაზე.

ამ ზღაპრებმა ფართოდ გაითქვეს სახელი ევროპაში, როგორც „ბიდპაის ზღაპრებმა“ (ბრძენი ბიდპაისა, რომლის პირითაც წარმოებს თხრობა). 1644 წლის ფრანგულ თარგმანში ბიდპაი გადაიქცა „ბრძენ პილპაიად“. როდესაც ლაფონტენის იგავები (რომელთა წყაროს სულ ეზოპეს იგავებთან ერთად წარმოადგენდა ინდური „პანჩატატრა“) ითარგმნა სპარსულ, არაბულ და კოპტურ ენებზე, „პილპაიმ“ შემოუარა დედამიწას და დაბრუნდა აღმოსავლეთში. საბოლოო ანგარიშში, ინდური ზღაპრები დაუბრუნდნენ ინდოეთს, სადაც ამჟამად უძველესი ხელნაწერებიდან აღებული ფერადი ნახატებით ასურათებენ მრავალ იმ იგავ-არაკს, რომელთაც დასტოვეს ინდოეთი საუკუნეების წინათ.

### თარგმნილი ლიტერატურა იაპონიაში

იაპონია ეკუთვნის იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ძალიან ბევრს კითხულობენ. ყოველდღიური გაზეთების ტირაჟი, და ამასთან უფრო დიდი მოცულობისა, ვიდრე ინგლისსა და საფრანგეთში, 16 მილიონ ეგზემპლარს აღწევს.

სტატისტიკური მონაცემებით იაპონურ ენაზე 1953-1954 წლებში სხვა ენებიდან გადათარგმნილი იყო 2360 წიგნი, 1955 წელს კი — 1203 წიგნი. ეს ციფრები დიდია, მაგრამ განსაკუთრებულ გაკვირვებას მარტო ციფრების სიდიდე როდი იწვევს, რადგან გერმანიაში, იტალიაში და სხვა ქვეყნებშიც შეიძლება ასეთსავე სურათს შევხვდეთ. იაპონიაში განცვიფრებას იწვევს თარგმნილი წიგნების სია თავისი მრავალფეროვნებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აქ მთარგმნელებს არ ჰყავთ დავიწყებული არც ერთი დიდი მწერალი, მოაზროვნე ან პოეტი. იაპონიაში თარგმნიან ყველა დროისა და ხალხების მწერლების ნაწარმოებებს, ამით ქმნიან მსოფლიო კულტურის, ისტორიის, მეცნიერების, პოლიტიკის და პოეზიის დამთავრებულ სურათს. ითარგმნება ყველა მეტნაკლებად მნიშვნელობის მქონე „დიდი“ რომანი, ახალი და ძველი, დასავლეთის ლიტერატურის ისეთი ნაწარმოებებიც კი, რომლებსაც თვით დასავლეთში თითქმის არავინ არ იცნობს, ვინაიდან დაწერილია ნაკლებად გავრცელებულ ენებზე. კარგადაა წარმოდგენილი პოეზია. ჩვენ აქ ვხვდებით უძველესი დროის და თანამედროვე უდიდეს პოეტების სახელებს.

როგორც ჩანს, იაპონელი მკითხველი კარგად იცნობს დასავლეთის ცივილიზაციის ყველა მხარეს. იგი გაცნობილია ჟან პოლ სარტრისა და აგატა კრისტის წიგნებს; იგი იცნობს ფილოსოფოსების ნაწარმოებებს და მათ გარშემო წარმოებულ პოლემიკას, 18 წლის ფრანგი სტუდენტი ქალის რომანს და უკანასკნელ სენსაციურ დეტექტივს.

### გოლიათი წიგნები

თებაში, ნილოსის ნაპირზე რამზეს II-ის ტაძრის კუთხის ორ ვეება კედელზე ამოკვეთილია ყველაზე დიდი წიგნი მსოფლიოში. მისი „გვერდების“ სიგანე აღწევს 40 მეტრს. სამხედრო ტრიუმფების ეს უძველესი მატიანე 3000 წელზე მეტია უძლებს დროის დამანგრეველ ძალას.

მეორე ლეგენდარული გოლიათი წიგნი — დიადი ყურანი დაწერილია დაახლოებით 1403 წელს. ყურანი ინახებოდა სამარყანდის ბიბი-ხანიმის მეჩეთში. თვითონ წიგნი დაიკარგა, მაგრამ მის სიდიდეზე შეიძლება მსჯელობა იმ შემონახულ ქვის საწიგნით, რომელზედაც, გადმოცემების თანახმად, იგი იდო. საწიგნეს სიგრძე უდრის 2,14 მეტრს, სიგანე კი — 2 მეტრია.

### მწიგნობრული გაერთიანება

ინდოეთის მთავრობის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ნაციონალური მწიგნობრული გაერთიანების შექმნისა, რომელმაც ხელი უნდა მოუმართოს ძვირფასი ლიტერატურის გამოშვების გადიდებას და წიგნების ფასის იმდენად შემცირებას, რომ ისინი ხელმისაწვდომი გახდნენ ბიბლიოთეკებისა, სასწავლებლებისა და ფართო საზოგადოებისათვის. ინდური კლასიკური ლიტერატურის და ინდურ ხელოვნებაზე წიგნების გამოცემის გარდა, გაერთიანების მოვალეობაში შედის სხვა ენაზე დაწერილ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებების თარგმანების გამოცემა. გარდა ამისა, გაერთიანებამ უნდა გაუკეთოს ორგანიზაცია წიგნების თარგმნას ინდოეთის სხვადასხვა ენაზე.



### მინიატურული კალიგრაფია

ეს არის რელიგიური წიგნების ერთ-ერთი მრავალი ხელნაწერთაგანი მინიატურული ყურანი, XVII საუკუნის უცნობი მწერლის ნამუშევარი (ზემოთ — ნატურალური სიდიდის ფოტო).

არსებობს მინიატურული ყურანის უფრო საოცარი და იშვიათი ეგზემპლარი, რომელსაც რვაკუთხედის ფორმა აქვს. შექმნილი დაახლოებით 1800 წელს, სპარსულ ენაზე, ეს ყურანი დაწერილია მიკროსკოპული ასოებით. ამ ოქროს შემონაჭერიან წიგნის გვერდის ზომა მხოლოდ 4 სმ-ია. ამდაგვარი უცნაური ფორმის მქონე წიგნები უფრო ნაკლებადაა შემონახული, ვიდრე გუტენბერგის ბიბლიები.

### ერთი წიგნისაგან შემდგარი ბიბლიოთეკა

ერთმანეთის მთლიან წინააღმდეგობას წარმოადგენს ორი ბიბლიოთეკა. 1954 წლის 30 ივნისის ცნობით ვაშინგტონში კონგრესის ბიბლიოთეკა ითვლიდა 10.155.307 წიგნსა და ბროშურას და კიდევ 14.282594 ხელნაწერ საბუთს. ინდოეთში (ქალაქ ამრიტსარში) არის ბიბლიოთეკა, რომელიც მხოლოდ ერთი წიგნისაგან შედგება. შენობაში, რომელიც ძვირფასი მარმარილოთი არის მოპირკეთებული და დამშვენებულია ოქროთი და სპილენძით (ან თითბერით), ინახება სიკხების წმინდა წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პირველ ადგილზე — მხატვრული ლიტერატურა

უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ იმას, რომ ქვეყნების უმრავლესობაში ფართო მოთხოვნილება აქვს ბელეტრისტიკას. როგორც ჩანს, სპეციალური ლიტერატურიდან ინგლისელი და ამერიკელი მკითხველები, ყველაზე მეტად დაინტერესებულები არიან ტექნიკითა და ზუსტი მეცნიერებებით ანდა მოგზაურობებითა და ბიოგრაფიებით. ინდოეთისა ან ნიგერიის მკითხველები უპირატესობას აძლევენ რაიმეს საზოგადოებრივი მეცნიერებებიდან, შემდეგ ბიოგრაფიულ ლიტერატურას, ბოლოს კი — ბელეტრისტიკას.

ტაილანდში საზოგადოებრივი მეცნიერებები ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ; უდიდესი ნაწილი მკითხველებისა უპირატესობას ანიჭებს წიგნებს მოგზაურობებზე ან ბიოგრაფიულ და ისტორიულ ლიტერატურას. ფილიპინელების გემოვნება გვაგონებს ამერიკელებისა და ინგლისელების გემოვნებას — პირველი ადგილი მათთან ეკუთვნის მხატვრულ ლიტერატურას.

### ხელნაწერები ჩინეთის სინაგოგიდან

ქალაქი კაიფინი, რომელიც მდებარეობს მდინარე ხუანხეზე, დაახლოვებით 600 კილომეტრით სამხრეთით პეკინიდან, ჩინეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. დიდი ხნის განმავლობაში იგი წარმოადგენდა ებრაული კოლონიის ცენტრს ჩინეთში, რომლის ნანგრევები დღემდეა შემონახული.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, ჩ. წ. 1190 წელს კოლონიაში აშენებული იქნა სინაგოგა, რომელშიც ინახებოდა ფოტოზე გამოსახული უძველესი ებრაული ხელნაწერები. 59 ამ მეტად იშვიათი მანუსკრიპტთაგან, რომლებიც დაწერილია ერთიმეორესთან შეწებებულ უთხელეს ჩინურ ქაღალდზე, დღესდღეობით ინახება ებრაული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ცინცინატში (ა. შ. შ.)

ფოტოზე (ქვემოთ) გამოსახულია სხვადასხვა ლოცვანები, მოსახსენებელი წიგნი, დაწერილი ჩინური იეროგლიფებით, დავითნი ძველებრაულ ენაზე და ებრაულ-სპარსულ დიალექტზე, საახალწლო ლოცვანი, მარაოსებური დაკეცილი.

ჟურნალ „კურიერ-იუნესკოდან“





ამხ. კ. ე. ვოროშილოვი მთავრობის ჯილდოს გადასცემს ამხ. ბ. პაიჭაძეს.

## თბილისელი კოლუმბები

თბილისი — კარაკასი, თბილისი — ტოკიო, თბილისი — მელბურნი, თბილისი — რანგუნი, თბილისი — ფილადელფია... ასეთ ტრასებს სულ რამდენიმე წლის წინათაც კი ვერც ერთ რუკაზე ვერ შეხვდებოდით. ახლაც არ სარგებლობენ ამ მარშრუტებით შორეული ცურვის კაპიტნები ან საჰაერო ლაინერების შტურმანები. ეს ტრასები არ არსებობენ! და მაინც ისინი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი არ არიან. მათ კოლუმბებად ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები გვევლინებიან. მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ბევრ სახელმწიფოში თბილისიდან წარგზავნილ პირველ მერცხლებად სწორედ ისინი იყვნენ — ჩვენი მრავალსაუკუნოვანი დიდი კულტურის პირველი „ელჩები“ უცხოეთში.

ზედმეტად მიგვაჩნია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რარიგ ზღაპრული ნახტომი გააკეთა სპორტმა საბჭოთა პერიოდში. იგი ხალხის საკუთრებად იქცა.

აი, რამდენიმე მშრალი, მაგრამ მრავლისმეტყველი ციფრი ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილიდან: 5.798 ფიზკულტურის კოლექტივი, 416.503 ფიზკულტურელი, 70 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 529 სპორტის ოსტატი (მათ შორის მრავლად არიან სსრ კავშირის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები და რეკორდსმენები, ოლიმპიური თამაშების მედალთა მფლობელნი), 984 საფეხბურთო მინდორი, კალათბურთის 1.378, ფრენბურთის 2.902 მოედანი, 268 სატანვარჯიშო დარბაზი.

სულ რაღაც ორმოციოდე წლის წინათ კი...

„ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა რომელიღაც საზოგადოება თბილისში, ელისაბედის ქუჩაზე, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გვერდით, აწყობს შეჯიბრებებს, რომლებში მოსწავლეებიც მონაწილეობენ. ასეთი სპორტი ფიზიკურ განვითარებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ აღვივებს ვნებებს და პირველობის სურვილს. ამის შედეგად ადგილი აქვს ხოლმე სერიოზულ დაზიანებებს, და თუ დროზე არ მივიღეთ ზომები, სასიკვდილო შემთხვევებსაც ვერ ავარიდებთ თავს... ამიტომ... საჭიროდ მიმაჩნია... აეკრძალოს საზოგადოებას ფეხბურთის თამაშში მოსწავლეთა დაშვება...“ წერდა თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის დირექტორი კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველს. სასაცილოა, არა?

სასაცილოცა და სატირალიც!

ასეთი იყო საქართველოს სპორტის გუშინდელი დღე.

დღეს კი — თბილისი — კარაკასი, თბილისი — ტოკიო, თბილისი — მელბურნი, თბილისი — რანგუნი, თბილისი — ფილადელფია... ასეთ ტრასებს ახლა ხშირად შეხვდებით „სპორტულ რუკებზე“. ისინი ჩვენთვის ჩვეულებრივნი გახდნენ და ახლო მომავალში უფრო „უცნაური“ გეოგრაფიული მარშრუტებიც აღარ იქნება საკვირველი — ეს ქართველ სპორტსმენთა ახალი წარმატებების კიდევ ერთ დადასტურებად მოგვევლინება.

გ. არტემიძე მ. გიგაური

# ხელშეკრულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერნსტ გლეზერი

მოთხრობა

მხატვარი ზ. ლეჟავა

სტუმრები გაწყობილ სუფრას შემოსხდომოდნენ. აპერიტივს მამაკაცები ოდნავ შეეზარხოშებინა. ქალები კი უფრო ვერმუტსა და ლიქიორს ეტანებოდნენ. ისინი ხმამაღლა და მოურიდებლად ყვებოდნენ პიკანტურ ამბებს. სტუმრებს წვნიანის ჭამა უკვე მოეთავებინათ, მაგრამ მისი სასიამოვნო სუნი ჯერ კიდევ ტრიალებდა ოთახში. წვნიანს თევზი, ნანადირევი და შინაური ფრინველი მოაყოლეს. ყოველ კერძს თავის შესაფერისი ღვინო ახლდა. მაგრამ ქეიფი ეშხში მაშინ შევიდა, როდესაც მასპინძელმა, დენევიცმა ხელში დანა აიღო და ნამცხვარში ჩატანებული ღორის დაჭრას შეუდგა.

მე სრულიად შემთხვევით მოვხვდი ამ წვეულებაზე. დენევიცმა სწორედ მაშინ დამირეკა, როცა იმის ფიქრში ვიყავი, თუ სად გამეტარებინა საღამო: ოპერაში წავსულიყავი, თუ სახლში დავრჩენილიყავი და გრგოს შევქცეოდი...

დენევიცი შეშფოთებული მეჩვენა. მე, რა თქმა უნდა, მას ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ იგი მეტი დამაჯერებლობისათვის საუბრის დროს ხელებს იშველიებდა. საქმე იმაში იყო, რომ მისი ვაჟიშვილი ნიკოლი ავად გამხდარიყო. სიცხე თანდათან უწევდა. დენევიცი მთხოვდა, როგორმე განმეკურნა ბავშვი ციებ-ცხელებისაგან. რაღაც ეშმაკად დენევიცს სწორედ იმ დღეს 50 წელი შესრულებოდა და სტუმრები ჰყავდა დაპატიჟებული. წვეულების გადადება უკვე გვიან იყო. სულ საპატიო ხალხი უნდა მოსულიყო.

შებინდებული იყო, როცა დენევიცთან მივედი. ნიკოლი ლოგინში წამომჯდარიყო. ბავშვი თერთმეტიოდე წლისა იყო. მას თხელი, სწორი ნაკვთები ჰქონდა. ლამაზ ტუჩებზე დამცინავი ღიმილი უთამაშებდა. მისი მომწვანო თვალები, წკრილი კეხიანი ცხვირი, ფერმკრთალი შუბლი, ამაყი, მეტისმეტად ამაყი გამოხედვა, აშკარად მეტყველებდა, რომ დენევიცი, ეს ზედგამოჭრილი ყასაბი, მამამისი არ უნდა ყოფილიყო. დენევიცი და ნიკოლი სხვა ლტოლვილებთან ერთად 1945 წლის მარტში ჩამოვიდნენ ჩვენს ქალაქში. მას ძალიან უყვარდა ბავშვი. ხშირად ვეკითხებოდით ბავშვის დედამისზე, მან მხოლოდ ის იცოდა, რომ დედა ტიურინგიაში გარდაცვლილიყო და სოფელ ზონგეში იყო დასაფლავებული.

ენერგიისა და ნიჭის წყალობით ჰერ დენევიცმა ჩვენს ქალაქში მალე მოიპოვა პოპულარობა. მან სასაკლაოზე დაიწყო მუშაობა. ქალაქის ხელისუფლებამ დენევიცს პატარა ნაკვეთი გამოუყვეს, სადაც დენევიცმა მალე ხის პატარა სახლიც ააშენა. ფულის რეფორმის შემდეგ მან უკვე საკუთარი საყასბო გახსნა და ერთი წლის შემდეგ მისი სახლის ადგილას მშვენიერი თეთრი შენობა წამოჭიმა. აი სწორედ ამ სახლში ვუჯექი გვერდით ნიკოლს და მაჯას ვუსინჯავდი. პირველ შეხედვისთანავე შევამჩნიე, რომ ბავშვის მაღალი სიცხე რაღაც ფსიქიურ ტრავმასთან იყო დაკავშირებული. ნიკოლის თვალებში ღრმა სევდა ჩამდგარიყო. დენევიცი დავამშვიდე, შესაშფოთებელი არაფერია და წადი, სტუმრებს მიხედე-მეთქი. ნიკოლს ხმა არ ამოუღია, მაგრამ მივხვდი, მას ჩემთან მარტო დარჩენა რომ ერჩია. დენევიცი ოთახიდან გავიდა. როდესაც მარტონი დავრჩით, ნიკოლს მივუბრუნდი.

— გამიგონე, ნიკოლ, შენ ხომ კარგად მიცნობ, ისიც კარგად იცი, რომ შენი მეგობარი ვარ. აი, ახლა მე წავალ, ნახევარ საათში დავბრუნდები და შენ ყველაფერს მომიყვები, კარგი?

ნიკოლმა თავი დამიქნია, მას მივუახლოვდი და ვუთხარი:

— მამაშენი...

— გაჩუმდი, — შეჰყვირა ბავშვმა და საბნიდან აკანკალებული მუშტები ამოიღო. ოთახიდან გავედი. საათი მაგიდაზე დამრჩა.

* * *

ღორის მსუქანი ნაჭრები უკვე თეფშზე დაენაწილებინათ. ოთახში ღორისა და მუხუდოს სუნი დამდგარიყო. ფერად ბროლის ჭიქებში ალისფრად კამკამებდა ბურგუნდული. დენევიცი საფრანგეთის ომში მონაწილეობდა და იქიდან ყოველივე ფრანგულის სიყვარული ჩამოყვა. კედლებზე ზეთის ფერებით ნახატი პეიზაჟები ეკიდა — ვერცხლისფერი ხეები, მოლივლივე ჯეჯილი, მზისაგან გადატრუსული ბორცვები. ბუფეტზე შამპანიურის გასაცივებელი კოჭობი იდგა. შიგვე ჩაეყოლებინათ ნარის კონა, საიდანაც აქა-იქ ხელოვნური ყვავილები ამოჩრილიყო. დენევიცი ფაიფურის ლანგარზე დახრილიყო და პრიალა დანით ენერგიულად მუშაობდა. შემნახველი სალაროს დირექტორი — ყოფილი ოფიცერი, სამი წლის განმავლობაში შალონის სადგურის უფროსად ნამუშევარი, შემწვარ კარტოფილს პირდაპირ ხელით მიირთმევდა. ქვანახშირის მრეწველის ცოლი პირთან კოვზის მიტანისას კეკლუცად ხრიდა ნეკს.

...სწორედ მაშინ, როცა დენევიცმა ისარგებლა წამიერი სიჩუმით და სასმისი ხელში აიღო, გაღებულ კარებში ფეხშიშველა ნიკოლი გამოჩნდა. მას ღაწვებზე ალმური ასდიოდა. ბავშვმა სტუმრებს დასიცხული და შეშფოთებული თვალები გადაავლო და შეჰყვირა:

— ჰერ დენევიც, თქვენ ჩემი მამა არ ყოფილხართ!

წუთით ყველანი გავქვავდით. დენევიცს გაწვდილი ხელი ჰაერში გაუშეშდა. წამოვხტი, ბავშვს მკლავში ხელი მოვკიდე და საწოლ ოთახში შევიყვანე. იგი არ გამძალიანებია. როდესაც ნიკოლს ლოგინში ვაწვენდი, დენევიცის დაგუდული ხმა შემომესმა: — ბავშვმა მართალი თქვა, მე არა ვარ მისი მამა.

მე შევამჩნიე, რომ ნიკოლი უცებ მიყუჩდა. სიცხემ დაუწია. ტანზე ოფლის წინწკლებმა დაასხა. გამხდარი, ჭკვიანი სახე დაუწყნარდა. ზევიდან ფრთხილი ნაბიჯების ხმა ისმოდა. ეს სტუმრები იშლებოდნენ. კარი ჩავკეტე. როდესაც საწოლისაკენ მივბრუნდი, ნიკოლმა კონვერტი გამომიწოდა; ოდნავ შეყვითლებული, დაჭმუჭნული კონვერტი. ეტყობოდა, რომ ვიღაცას სწრაფად და ნერვიულად გაეხსნა იგი. მე კონვერტიდან ქაღალდი ამოვიღე და კითხვა დავიწყე:

„ხელშეკრულება“

ეს ხელშეკრულება იდება ქალაქ დრეზდენის სათადარიგო ჰოსპიტლის მთავარ ექიმ ფონ ჰალერსა და უნტერ ოფიცერ დენევიცს შორის, რომელიც მძიმე ჭრილობას მკურნალობს სამხედრო სათადარიგო ჰოსპიტალ 113-ა-ში.

1. ჰერ ექიმი ფონ ჰალერი საჩუქრად აძლევს იოზეფ დენევიცს 30.000 მარკის ღირებულების საბანკო ქვითარს შემდეგი პირობებით:

ა) ჰერ. იოზეფ დენევიცი, რომელიც მძიმე ჭრილობის გამო სამხედრო სამსახურიდან სრულიად უნდა განთავისუფლდეს, ვალდებულია ცოლად შეირთოს ფროილაინ იულიანა ფონ ჰალერი; ბ) ჰერ იოზეფ დენევიცი, ამას გარდა, ვალდებულია თავის შვილად ცნოს იულიანა ფონ ჰალერის ერთის თვის ბავშვი და იყოს მისი ნამდვილი მამა და არა მამინაცვალი; გ) ჰერ იოზეფ დენევიცი არმიიდან განთავისუფლების შემდეგ, რომლის შესახებაც ზემოთ იყო ლაპარაკი, ვალდებულია ქალის სამშობლო ქალაქ ტილზიტში წაიყვანოს იულიანა ფონ ჰალერი, როგორც თავისი ცოლი და მისი შვილი, როგორც თავისი შვილი, ხოლო მიღებული თანხა საქმეში დააბანდოს.



2. ჰერ დენევიცი ვალდებულია, აგრეთვე, და ამას საკუთარი ხელისმოწერითა და პატიოსანი სიტყვით ამოწმებს, რომ ომის დამთავრებისთანავე გაეყაროს იულიანა ფონ ჰალერს იმისდა მიუხედავად, მოისურვებს ეს უკანასკნელი ამას, თუ არა.

შედგენილია დრეზდენში 1941 წლის 27 აგვისტოს. ხელს აწერენ: ექიმი ფონ ჰალერი, მთავარი ექიმი, იოზეფ დენევიცი, უნტერ ოფიცერი".

— სად იპოვნე ეს ქაღალდი? — ვკითხე ნიკოლს.

— სხვენზე, ძველ ჩემოდანში, იქ საჩუქრის დამალვას ვაპირებდი, — მიპასუხა მან.

— რა საჩუქრის?

— დაბადების დღე მინდოდა მიმელოცა მამისთვის... მამისთვის კი არა, ჰერ დენევიცისათვის.

ნიკოლმა თვალებზე ხელი აიფარა, თითქოს ელნათურის შუქმა თვალი მოჭრაო. ბავშვურ შუბლზე კანი დაჭიმოდა, მარცხენა ხელი უმწეოდ ჩამოვარდნოდა საწოლიდან. დროდადრო სიბნელეში მოვძებნიდი ხოლმე მის ხელს და ვეფერებოდი. საწოლ ოთახში სიჩუმე სუფევდა, ქუჩაც მიყუჩებულიყო, ხან მეორე ოთახიდან ვიღაცის თავშეკავებული ოხვრა და ქვითინი ისმოდა.

ჩვენ დიდხანს ვისხედით მდუმარედ. უცებ ნიკოლმა ხელით კარებზე მიმითითა: — მე ვიცი, მე ვგრძნობ, რომ ის იქ დგას, დაუძახეთ, შემოვიდეს.

წამოვდექი და კარები ნელ-ნელა გამოვწიე ჩემკენ. კარს მოყრდნობილი დენევიცი ლამის გულზე დამეჯახა. შემდეგ თავი ველარ შეიკავა, ფეხი გაუსხლტა და მუხლებზე დაეცა. იგი ასევე დარჩა, ხელები იატაკზე დაებჯინა და ნიკოლს შესცქეროდა.

— აი, როგორ მოხდა ყველაფერი ეს, — ალაპარაკდა მუხლებზე დაჩოქილი დენევიცი. — პარიზი ახალი აღებული იყო, როცა მე უბედურება მეწია. ჩვენ, ეს ლუარას მახლობლად მოხდა: ლამაზი მდინარეა ლუარა, იქ ბევრი კოშკები და მარნებია. ნამდვილად შემიძლია ვთქვა, ექიმო, მე რომ სხვებთან ერთად მარანში დავრჩენილიყავი, ამ ამბავს ავცდებოდი. ჩვენ ძალიან წინ ვიყავით წასული, ფრანგები კი ჯერ თვალითაც არ გვენახა. მაგრამ თურმე არც ასე ყოფილა საქმე. მე პოლკთან კავშირის დამყარება დამავალეს, დავალების შესასრულებლად წავედი... მეტი აღარაფერი მახსოვს. გონს ჰოსპიტალში მოვედი. მარჯვენა ფეხი მთლიანად თაბაშირში მედო, თავი შეხვეული მქონდა. ასისტენტები და მომვლელი ქალები გარ მეხვეოდნენ. ფრანგებმა ზავზე მოაწერეს ხელი. სათადარიგო სამსახურის ჯარისკაცები არმიიდან გაანთავისუფლეს.

მეც დავბრუნდი სამშობლოში, დრეზდენში. გულით კი მინდოდა პარიზში დარჩენა, მაგრამ მძიმე და სერიოზული ოპერაცია მქონდა გადასატანი. ოპერაცია მთავარმა ექიმმა ფონ ჰალერმა გამიკეთა, პაპაშენმა, ნიკოლ. შემდეგ იგი დრეზდენის დაბომბვის დროს დაიღუპა".

დენევიცი კვლავ მუხლებზე იყო დაჩოქილი. სკამი მივუწიე, მაგრამ მან ხელი ჰკრა მას. ნიკოლი გაუნძრევლად იწვა, თვალები დახუჭული ჰქონდა. შავ თმებზე სინათლის სხივი უციმციმებდა.

— ...და აი იმიტომ, რომ მთავარმა ექიმმა ფონ ჰალერმა კარგი ოპერაცია გამიკეთა, იმდენად კარგი, რომ მე სიარული შევძელი, თუმცა კოჭლი დავრჩი, ჯარიდან გავთავისუფლდი და რუსეთის ფრონტზე გაგზავნას გადავრჩი, აი სწორედ ამიტომ დავთანხმდი ყველაფერზე.

დენევიცი დადუმდა. საყელო გვერდზე მოექცა, პიჯაკი ღვინით და ფერფლით ჰქონდა მოთითხნილი, მარცხენა ხელიდან სისხლი სდიოდა, ეტყობა რაღაცაზე გაეჭრა. უცებ იგი წამოდგა, ბარბაცით მივიდა მაგიდასთან, ორივე ხელით დაეყრდნო მას და ნიკოლს დააცქერდა რაღაც ბავშვურად შეშინებული თვალებით. ნიკოლმა თვალი გაუსწორა მას.

— ახლა შენთვის ყველაფერი ნათელია ნიკოლ, მაგრამ მთავარი არ მითქვამს, — წაჩურჩულა მან. — შენ ჩვენი ხელშეკრულება, რომელიც სხვენზე მქონდა დამალული, გიპოვნია და წაგიკითხავს კიდევაც; მაგრამ ერთი რამ იქ არ წერია. მე დედაშენს სიკვდილის წინ ფიცი მივეცი, არაფერი მეთქვა შენთვის ამის შესახებ. რაც მთავარია, შენ ჯერ კიდევ არ იცი. შენ არ იცი რატომ დავდეთ ეს ხელშეკრულება... მე რომ ამაზე ხელი არ მომეწერა, დედაშენს საკონცენტრაციო ბანაკში ან ციხეში ჩააგდებდნენ, შენ კი ობლების კოლონიაში გაგაგზავნიდნენ. დედაშენს თვალით ველარ ნახავდი...

მე დენევიცს მიუახლოვდი და შევეცადე შემეჩერებინა.

— დაფიქრდით, თქვენ ხომ ბავშვს ელაპარაკებით, ცოდოა. — ნიკოლი საწოლზე წამოიწია და დაიყვირა:

— თავი დაანებეთ, დე ილაპარაკოს, ყველაფერი თქვას, მე არ მეშინია.

— აქ ისეთი არაფერია, ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა — განაგრძო დენევიცმა — მაგრამ იმ დროს ყველაფერ ჩვეულებრივს და ბუნებრივს საშინელებად აქცევდნენ ხოლმე, თავის ბოროტმოქმედებას კი არად აგდებდნენ.

— რა დაემართა დედას? — წყნარად იკითხა ნიკოლმა.

დენევიცმა ამოიოხრა.

— გეტყვი ნიკოლ. ერთხელ დილით მთავარმა ექიმმა ჩემთან მომვლელი ქალი გამოაგზავნა და თავისთან დამიბარა. მაშინ უკვე სიარული შემეძლო, ყავარჯენი მოვიშორე, მაგრამ საგრძნობლად ვკოჭლობდი. უკანასკნელ ხანებში ფონ ჰალერი რაღაც ძალიან დაინტერესდა ჩემით. კითხულობდა სადაური ვარ, ვინ იყვნენ ჩემი მშობლები და ცოცხლები არიან თუ არა ისინი. იმ დღეს, როდესაც მე მასთან კაბინეტში შევედი, ფონ ჰალერმა საწერ მაგიდასთან მდგარ სავარძლამდე მიმაცილა. „გთხოვთ დაბრძანდეთ" — მითხრა მან. ოთახში მომვლელი ქალი შემოვიდა, რკოს ყავა, სიგარები და კონიაკი შემოიტანა. ფონ ჰალერი კიდევ უფრო დამიტკბა. მან მკითხა, ვიცნობდი თუ არა მის ქალიშვილს. — „როგორ არა, — ვუპასუხე მე, — მე ხშირად მინახავს იგი ჰოსპიტალში". ფონ ჰალერი კარგა ხანს სდუმდა, მე კი იმდენად გავთამამდი, რომ კონიაკიც კი გადავკარი. უცებ შევამჩნიე, რომ იგი რაღაც უცნაურად მაცქერდებოდა, თითქოს რაღაცას მევედრებოდა თვალებით, რაღაც ძნელად შესასრულებელს მთხოვდა, სიტყვით კი ვერ გამოეთქვა, როგორი ღირსეული და თავშეკავებული ადამიანი იყო ჩვენი მთავარი ექიმი ჰერ ფონ ჰალერი. მუქი წაბლისფერი წვერი ჰქონდა, მშვიდი, ჭკვიანური თვალები. უცებ ფონ ჰალერი წამოდგა (მეც უნებურად ავდექი), ჩემსკენ გადმოიწია, საწყლად შემხედა თვალებში და მკითხა: — ჰერ დენევიც, შეირთავთ ჩემს ქალიშვილს? — იგი ცახცახებდა.

მე გაჭიმული ვიდექი მის წინაშე და ვდუმდი. ფონ ჰალერი ფანჯარასთან მივიდა, ცოტა ხანს შეჩერდა და შემდეგ დაგუდული ხმით ალაპარაკდა: — გამიგონეთ, დენევიც, მე რომ არა, თქვენ სამუდამოდ ხეიბარი დარჩებოდით. შეიძლება მითხრათ, რომ ეს ჩემი მოვალეობა იყო; რამდენ მოულოდნელობას გვიმზადებს ცხოვრება, ხანდახან იძულებული ხარ დახმარება სთხოვო მას, ვისაც თვითონ დაეხმარე ოდესღაც. მე გთხოვთ სხვაგვარად არ გამიგოთ, აი წაიკითხეთ ეს ხელშეკრულება.

მან საწერ მაგიდაზე მიმითითა. მე ქაღალდი ავიღე და წავიკითხე. კარგა ხანს ვდუმდით ორივენი. შემდეგ მხნეობა მოვიკრიბე და ჩურჩულით ვკითხე:

— ღვთის გულისათვის, მითხარით, ჰერ მთავარო ექიმო, რა მოხდა ასეთი საშინელი?

მან გაფითრებული სახე ჩემსკენ მოაბრუნა:

— ჩემ ქალიშვილს ბავშვი ტყვე ფრანგისაგან ეყოლა. ხომ კარგად გესმით, რა შეიძლება მოყვეს ამას ახლანდელ დროში.

მან თვალებში შემომხედა, მეც თვალები გავუსწორე მას. ალბათ, ასე უყურებენ ადამიანები ერთმანეთს, როცა მათ რაღაც უხილავი საფრთხე ემუქრება ხოლმე. უცებ ეს შესანიშნავი სათნო ადამიანი ჩემსკენ გამოემართა.

— მე ვიცი, რომ თქვენ ომიც გძულთ და ისინიც, ვინც ეს ომი თავს მოგვახვია. თქვენ ომი იმიტომ გძულთ, რომ მორწმუნე ხართ. ერთხელ თქვენ მელაპარაკეთ კიდეც ამის შესახებ და მე მივხვდი, რომ შესაფერისი ადამიანი ვიპოვე. თქვენ ფული გექნებათ და უზრუნველად შეგეძლებათ იცხოვროთ საკუთარ ჭერქვეშ.

მან თავზე ხელები მომხვია და თავისკენ მიმიზიდა.

ჰერ დენევიც, — მითხრა მან, — ჩემო ძვირფასო, მე თქვენ ხელში ვარ, ჩემი ქალიშვილი აუცილებლად უნდა წავიდეს აქედან, აუცილებლად უნდა გამოიცვალოს სახელი. მე თქვენ გენდობით, დენევიც, იხსენით ჩემი ქალიშვილი.

დენევიცმა დაამთავრა ამბის მოყოლა. თავი უმწეოდ ჩაქინდრა. ძალიან აღელვებული იყო, მაგრამ მაინც გაუღიმა ნიკოლს. ბავშვი საწოლის კიდეზე იჯდა და ორივე ხელი საბანზე დაეწყო. მის ლამაზ სახეზე კმაყოფილება იხატებოდა. ნიკოლმა ალერსიანად მიმართა დენევიცს:

— რატომ აქამდე არ მომიყევი ყველაფერი?

— იმიტომ, რომ მიყვარხარ, ნიკოლ, ძალიან მიყვარხარ და მინდოდა მამა ვყოფილიყავი შენი. — ჩუმად უპასუხა იოზეფ დენევიცმა.

ბავშვი ლოგინიდან წამოხტა, დენევიცთან მიირბინა და გულში ჩაეკრა.

— მამა, ძვირფასო მამიკო, ამიყვანე ხელში და ლოგინში დამაწვინე, როგორც მაწვენდი ხოლმე ყოველთვის...

თარგმნა ზ. ნ—მ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლუკრეციუსი ქართულად

ქ. ჭიჭინაძე

დანტე თავისი „ჯოჯოხეთის“ მე-10 ქებაში გვაუწყებს:

„აქეთ გაშლილან სამარხები ეპიკურესი
და ამ მოძღვარის მიმდევართა, ვინც ღაღადებდნენ
შესახებ სულის სიკვდილისა სხეულთან ერთად“.

შემდეგ ამისა დანტეს დასახელებული ჰყავს, მქიმე სატანჯველში მყოფ ეპიკურეს გვერდით, მის მრავალრიცხოვან მიმდევართა შორის, მხოლოდ ორისამი პიროვნება.

ამ დიდი ფილოსოფოსის თანამოაზრეთა წრეში პირველი ადგილი უეჭველად სახელგანთქმულ რომაელ პოეტს ლუკრეციუსს უნდა მიჰკუთვნებოდა, მაგრამ იგი აქ მოხსენებული არ არის. ეტყობა, ეს იშვიათი ნიჭის პოეტი შეუწყნარებია დანტეს, რომელიც არ შეიძლებოდა მოხიბლული არ ყოფილიყო მისი უკვდავი პოემით, მიუხედავად მათი მსოფლმხედველობის დიამეტრალური სხვაობისა.

რომ დანტეს აზრით ლუკრეციუსს ეპიკურეს გვერდით არ ეკუთვნოდეს ადგილი, მაშინ ის დაასახელებდა მას იმ რამდენიმე დიდ რომაელ პოეტთან ერთად (ვირგილიუსი, ოვიდიუსი, ჰორაციუსი, ლუკანუსი), რომლებიც ჰომეროსის მეთაურობით, შედარებით უტანჯველად იმყოფებიან, როგორც უნათლველნი, ჯოჯოხეთის, ასე ვთქვათ, წინკარში, — პირველ გარსში (მე-4 ქება).

ეპიკურეს მიმდევრისა და თაყვანისმცემლის პოეტ ლუკრეციუსის პოემა „საგანთა ბუნებისათვის“ გასაოცარი ქმნილებაა. არ დაწერილა ქვეყნად მეორე მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ასე თავს უყრიდეს და დაწვრილებით განიხილავდეს თავისი ეპოქის გონებრივ ავლადიდებას. კიდევ მეტი, ამ პოემაში განვითარებულია ზოგიერთი ისეთი შეხედულება, რომლის ჭეშმარიტება მხოლოდ მრავალი საუკუნის შემდეგ დადასტურდა მეცნიერულად. ასეთია ატომისტური თეორია, მსოფლიოს უსაზღვროება, მნათობთა წარმოშობა, კაცთა მოდგმის თანდათანობით განვითარება, ბუნებრივი შერჩევის კანონი, სიკვდილის აუცილებლობა ყოველივე იმისათვის, რაც ერთხელ წარმოშობილა, და სხვ. მთელი ეს დაკვირვებანი და ცოდნა გადმოცემულია ლუკრეციუსის პოემაში ბრწყინვალე ლექსით, აზრთა მრავალფეროვანებით, მეტყველების ამოუწურავი სიმდიდრით და, საერთოდ, დიდი მხატვრული ოსტატობით.

ეს წიგნი დაიწერა პირველ საუკუნეში ჩვენს ერამდე და სულ მალე უაღრესად პოპულარული გახდა. იმავე ეპოქის პოეტი ოვიდიუს ნაზონი ამბობს: ლუკრეციუსის დიდებული პოემა მოკვდება მხოლოდ იმ დღეს, როდესაც დედამიწა დაიღუპებაო. საშუალო საუკუნეებში მისდამი ყურადღება ხელოვნურად იქნა განელებული ქრისტიანული სამღვდელოების მიერ, მაგრამ აღორძინების პერიოდში ხელახლა იფეთქა ინტერესმა მის მიმართ.

ლუკრეციუსის პოემა „საგანთა ბუნებისათვის“ ლათინურიდან ქართულად თარგმნა და მიმდინარე წელს გამოაქვეყნა ჩვენმა ფილოლოგმა პროფესორმა პანტელეიმონ ბერაძემ. მისასალმებელია და წასაქეზებელი მეცნიერული ძალების მონაწილეობა ქართული მხატვრული თარგმნითი ლიტერატურის გამდიდრების საქმეში. ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, ამ შემთხვევაში) ეს მონაწილეობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

თარგმანი უმეტეს წილად ღირსეულად არის შესრულებული: მაგრამ არის ხშირი შემთხვევა, როდესაც მთარგმნელი ლექსს ვერ იმორჩილებს მთლიანად, რის შედეგად წარმოიშობა ხოლმე ტექსტის ბუნდოვანება ან სტილისტური უსწორმასწორობა. ამ წერილის მიზანია მიაქციინოს ავტორს ყურადღება აღნიშნული ნაკლისათვის და წააქეზოს ის, რომ თარგმნაზე მუშაობის გაგრძელებით, თავისი დიდი საქმე სრულყოფამდე მიიყვანოს.

ავიღოთ მაგალითისათვის თარგმანის ტექსტის შემდეგი მონაკვეთი (11-485):

„წარმოიდგინე, როს შესდგება რამე სხეული
სამ ან უმეტეს სულ უმცირეს ნაწილისაგან,
და თუ კი შემდეგ ამ სხეულით აღებულ ნაწილს
მიმოაბრუნებ ალმა-დაღმა, მარჯვნივ და მარცხნივ
და გამოარკვევ, თუ რაგვარი სახეთ ცვალება
იყო შესაძლო სხეულისთვის შესაფერისი.
თუ მოისურვებ კვლავ შესცვალო მათი სახენი
ახალ ნაწილთა ხამს ურთავდე, ამას მოჰყვება
კვლავ ახალ ნაწილთ მომატების უცილობლობა,
თუ კვლავ ისურვებ, რომ შესცვალო მათი სახენი“.

მკითხველა ძალზე გაუძნელდება იმის გარკვევა, თუ რაზეა აქ ლაპარაკი. პოეტს კი სურს გვაცნობოს შემდეგი: წარმოიდგინე, რომ პირველადი საგანი შედგება სამი ან უფრო მეტი ელემენტარული ნაწილისაგან. თუ თქვენ ამ სხეულის ნაწილებს გადაადგილებთ მარცხნიდან მარჯვნით, ქვემოდან ზემოთ, ისე რომ ამოსწურავთ ყველა შესაძლებელ გადაადგილებას, მაშინ ჩვენ მივიღებთ საგნის ფორმის ყველა შესაძლებელ ცვლილებას. თუ კი მოისურვებთ კიდევ სხვა ფორმების მიღებას, მაშინ საგანს უნდა მიუმატოთ ახალი ნაწილები.




ეს აზრი ნათლად უნდა იყოს გადმოცემული თარგმანში, რასაც სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ. ქართული ურითმო თოთხმეტმარცვლოვანი ლექსით შესაძლებელია ითარგმნოს შესაფერი ზომის უცხო ლექსი ისე, რომ ზედმიწევნით და ნათლად გადმოიცეს მისი შინაარსი.

ზემოთმოყვანილ ციტატში ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, წინადადებათა გრამატიკული დაულაგებლობა: სიტყვა „თუ“ მოჭარბებულად და უწესრიგოდ არის ხმარებული, პირველი რთული წინადადება, რომელიც მთავრდება წერტილით მეექვსე სტრიქონის ბოლოს, არ არის გრამატიკულად დასრულებული.

ავიღოთ ენობრივი უსწორმასწორობის შემდეგი ნიმუში (11-1026):

„აღარ არსებობს სულ უბრალო რაიმე ცოდნა,
თავდაპირველად მეტად მძიმედ რომ არ
გვეჩვენოს
და არცა უცხო მოვლენა რამ დიდსაკვირველი.
რომ განცვიფრება შენ თანდათან არ შეგიმცირდეს.
თავდაპირველად ცისფერს ვიტყვით, ცამკამას,
სუფთას,
თავის წიაღში რომ მოიცავს მსრბოლ
მნათობელთ,
მთვარეს და მზესაც, უბრწყინვალეს სხივთა
შუქმფენელს“.

აქ აზრი გასაგებადაა გადმოცემული. მაგრამ ყურადღებას იქცევს ენობრივი ნაკლოვანებანი. ამ ციტატის პირველი სიტყვა „აღარ“ უადგილოა, უნდა იყოს „არ“. ყველამ ვიცით, თუ რა აზრობრივი განსხვავებაა ამ ორ პატარა სიტყვაში. ლექსის დაკლებული მარცვალი სხვა გზით უნდა შეივსოს, შეიძლება ითქვას — „როდი არსებობს“, ან „ხომ არ არსებობს“ და სხვ. ციტატის მეხუთე სტრიქონში „ცისფერს“ გაყოფილად უნდა იყოს დაწერილი, რადგან აქ ფერზე განცალკევებითაა ლაპარაკი. მაგრამ „ფერი“ ამ შემთხვევაში საერთოდ მიუღებელია, ვინაიდან ფერს არ შეუძლია შეიცავდეს მნათობებს, უნდა იყოს არა „ცის ფერი“, არამედ „ცის ლაჟვარდი“, მომატებული მარცვლის მოთავსება ლექსში ძნელი არ არის, ასე, მაგალითად: „ვიტყვი ცის ლაჟვარდს თავდაპირველ...“ ციტატის მეექვსე სტრიქონში უნდა იყოს „შეიცავს“ და არა „მოიცავს“. მეშვიდე სტრიქონის ბოლო ორი სიტყვა „სხივთა შუქმფენელს“ ტავტოლოგიას წარმოადგენს, უნდა იყოს „სხივთა მფენელსა“, ან „სხივთა მომფენელს“.

მოყვანილი ციტატის ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ: „ვფიქრობ, არარას უსაკვირვლეს ვერრას ნახავდა“, რაც სავსებით მიუღებელი გამოთქმაა. ეს უბრალოდ უნდა ითქვას, მაგალითად: „ვფიქრობ, ვერაფერს იხილავდა უფრო საკვირველს“. ამას მოსდევს სტრიქონი: „ხოლო ვერავის, ნახვით დაღლილს, აიძულებდი“. შეიძლება ვთქვათ „ვერავის აიძულებდი“, მაგრამ როდესაც ამ ორ სიტყვას ვთიშავთ და შუაში სხვა სიტყვებს ჩავსვამთ, მაშინ საჭიროა ორმაგი უარყოფა. კიდევ ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ — „სივრცის წიაღს გადაიქროლოს“ — არც ესაა სწორი მეტყველება.

ზოგჯერ საკმარისია სტრიქონებში სიტყვების გადასმ-გადმოსმა, რომ ლექსმა ღირსეული ფორმა მიიღოს; ავიღოთ, ნაგალითად, შემდეგი ორი სტრიქონი (1-333):

„და ხელს არ მიჰყოფ უნაყოფო კვლევაძიებას
არსთა ბუნების, ჩემგან თქმულით დაეჭვებული“.

აქ უხერხულობას ჰქმნის წინადადების ბოლოში მოქცეული ნათესაობითი ბრუნვა („არსთა ბუნებას“); ეს უხერხულობა ასეთი ინვერსიით შეიძლება ავიცილოთ თავიდან:

„და ხელს არ მიჰყოფ, ჩემგან თქმულით
დაეჭვებული,
არსთა ბუნების უნაყოფო კვლევა-ძიებას“.

მთარგმნელი ზოგჯერ სტრიქონში ცარიელი ადგილის შესავსებად ხმარობს მნიშვნელოვან სიტყვას, რომელიც სცვლის აზრს. ეს დაუშვებელია. ამგვარ შემთხვევაში გამონახული უნდა იქნას ისეთი ნეიტრალური სიტყვა, რომლის ჩართვა აზრს უცვლელად დასტოვებს. მაგალითად (1-217):

„რადგან მთლიანად რომ კვდებოდეს არსი
ყოველი...“

აქ ზედმეტია სიტყვა „ყოველი“, მისი წყალობით გამოდის, თითქოს ზოგი არსი მთლიანად კვდება, ზოგი არა, რაც დედნის აზრის დამახინჯებას წარმოადგენს. ნაკლის თავიდან აცილება აქაც ადვილად შეიძლება:

„რადგან, ცხადია, მთლიანად რომ კვდებოდეს
არსი..“

ავიღოთ შემდეგი საინტერესო მაგალითი იმისა, როდესაც დედნის ცოცხალი შედარება მართალად, უფერულადაა გადმოცემული თარგმანში (11-78):

„და მოკლე დროით იცვლებიან არსთა წყებანი,
ვით მორბენალნი, ისე ცვლიან ცხოვრების
ჟინჟილს“.

ლუკრეციუსი აქ არსთა ერთი თაობის შეცვლას მეორე თაობით, სიცოცხლის გადაცემას ერთი თაობისაგან მეორე თაობისათვის, მხატვრულად ადარებს ოლიმპიადის დროს ოლიმპის მთიდან გამოტაცებული ქინქლილის გადაცემას მორბენალთა მიერ ერთი-მეორისათვის, ხელიდან ხელში. ეს შესანიშნავი შედარება უფრო გარკვეულად, უფრო ცოცხლად უნდა იყოს მოცემული თარგმანში. უადგილოა თარგმანის „არსთა წყებანი“, უნდა იყოს ამის ნაცვლად „არსთა თაობანი“, რომ იგულისხმებოდეს არსთა ასაკობრივი დაჯგუფება, უნდა იყოს არა „ცვლიან“, არამედ, „გადასცემენ“ და სხვ. აღნიშნული ორი სტრიქონი ამ სახით შეიძლება ითარგმნოს:

„თაობა არსთა სცვლის თაობას, — ვით
მორბენალნი,
ხელიდან ხელში გადასცემენ ცხოვრების
ქინქლილს“.

მეოთხე წიგნის **მესამე** სტრიქონი ასე იკითხება: „იქ არნახული ყვავილები დავკრიფო მდელოს“, რაც ყოვლად მიუღებელი გამოთქმაა. შეიძლება ასე ითქვას: „დავკრიფო იქ მე არნახული მდელოს ყვავილი“.

იქვე ქვემოთ (მე-7 სტრიქონი) ვკითხულობთ:
„რომ ვიხსნა სული რელიგიის ბორკილებისგან“.

საეჭვოა დედნის ასეთი გაგება. ლათინური სიტყვა „religionum“, რომელიც ორიგინალში იკითხება, რელიგიასაც ნიშნავს და ცრუმორწმუნეობასაც. სწორედ ცრუმორწმუნეობას უნდა გულისხმობდეს აქ პოემის ავტორი. ასეცა აქვს ეს ადგილი გაგებული რუს მთარგმნელს პეტროვსკის. ლუკრეციუსი, ეტყობა, ათეისტი უნდა იყოს, მაგრამ ფორმალურად იგი აღიარებს ღმერთების არსებობას. მას არა სწამს მხოლოდ, რომ სამყარო ღმერთების მიერაა შექმნილი და რომ ისინი ადამიანთა საქმეებში ერევიან, რაც უკვე მიუთითებს რელიგიის უსაფუძვლობაზე, მაგრამ ამის აშკარად თქმა მას არ შეუძლია იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გამო. ამიტომ, ვფიქრობთ, აღნიშნული სტრიქონი ასე უნდა ითარგმნოს:

„რომ ვიხსნა სული ცრუ რწმენათა
ბორკილებისგან“.

იგივე ითქმის III წიგნის მე-7 სტრიქონზე, რომლის განმეორებას განხილული სტრიქონი წარმოადგენს.

არ არის დასაშვები სიტყვების დამახინჯება მისი შემოკლების ან განვრცობის გზით, როდესაც იგი ვერ მორგებია ლექსს. უნდა მოინახოს საჭირო ზომის შემცვლელი სიტყვა. მაგალითად, მეორე წიგნის ბოლოში ვკითხულობთ:

„თუმც მცირე ჰქონდათ მაშინ მიწა,
მცირეს სჯეროდნენ“.

სწორი ქართულია „სჯერდებოდნენ“ და არა „სჯეროდნენ“. არსებობს ამის შემცვლელი სამმარცვლოვანი სიტყვა „კმარობდნენ“.

ასევე დაუშვებლად არის შეკვეცილი სიტყვა „ათენი“ შემდეგ სტრიქონში (VI-2):

„დიადმა ათენ მიანიჭა საბრალო მოკვდავთ“.

სჯობს აქ, მაღალფარდოვანი ტონის შემცირების ხარჯზე, სიტყვას მივცეთ სწორი გრამატიკული დაბოლოება, ასე, მაგალითად: „დიდმა ათენმა მიანიჭა“...

აქ მოყვანილ მაგალითებს ჩვენ დავურთეთ გასწორებები იმ მიზნით, რომ გვეჩვენებინა თარგმანის გაუმჯობესების შედარებით ადვილი შესაძლებლობა.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ დიდმნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები, ორიგინალი იქნება იგი თუ თარგმანი, მაღალხარისხოვანი ფორმით უნდა იყოს მოცემული, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ იცოცხლებს.

პროფ. პანტელეიმონ ბერაძეს დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის ამ წიგნის თარგმნით ქართული კულტურის წინაშე, და ეს ღვაწლი უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ თავის თარგმანს იგი შემდგომი მუშაობით კიდევ უფრო გააუმჯობესებს.



# ნორჩების ხელოვნება

**ჯიმშერ ენუქიძე**

დიდი ხანი არაა, რაც თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივთა ბაზაზე შეიქმნა ერთი ნაკრები ანსამბლი, ანსამბლი, რომელსაც თამამად შეუძლია წარსდგეს ჩვენი მომთხოვნი მაყურებლის წინაშე. ხელთა გვაქვს მოსაწვევი ბარათი, რომლის საშუალებითაც პატარები გვიწვევენ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. ღია ბარათზე მიწვევის ტექსტთან ერთად დაბეჭდილია თხოვნა მაყურებელთა მიმართ, — წერილობით გამოსთქვან თავიანთი აზრი ანსამბლის შესახებ.

ვესტუმროთ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრს. მაყურებელი აღტაცებულია პატარების ოსტატობით. მათ უკვე მოიმარჯვეს ფანქრები და ამ უჩვეულო მოსაწვევ ღია ბარათზე თავის შთაბეჭდილებებს სწერენ. შემდეგში მათ შინაარსს პიონერთა სასახლეში გავეცანით.

ზედმეტი არ იქნება თუ მოვიგონებთ შორეული ავსტრალიის ახალგაზრდობის დელეგაციის წევრის დავით მურის სიტყვებს თბილისის პიონერთა სასახლეზე: „შეიძლება ყველაზე საინტერესო, რაც ჩვენ სსრ კავშირში ვნახეთ, თბილისის პიონერთა სასახლე იყო“... ამასთან დაკავშირებით ჩვენის მხრივ გვინდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის პიონერთა სასახლეში იქნებ ყველაზე საინტერესო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი იყოს. უდაოა, ანსამბლმა გაიმარჯვა, არამარტო თანატოლების, არამედ უფროსების მოწონებაც დაიმსახურა. ანსამბლის გამარჯვებაში თანაბარი წვლილი მიუძღვით როგორც მის წევრებს, ისე ხელმძღვანელებსა და საზოგადოებას — მშობლებს, ანსამბლის წევრთა თანატოლებს.

ანსამბლის წარმატების უზრუნველყოფისათვის ძალა არ დაუზოგიათ სასახლის ძველ პედაგოგს რომან ჭოხონელიძეს, მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელს ვლადიმერ ჭუმბურიძეს, მეფანდურეთა და მეჩონგურეთა კოლექტივის ხელმძღვანელს გრ. გარუჩავას, კომპოზიტორ შოთა ჯოჯუას და მრავალ სხვას. ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფისათვის არა ერთი ძვირფასი რჩევა მიუცია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ილიკო სუხიშვილს.



ანსამბლმა შემდეგ კიდევ უფრო დახვეწა თავისი ხელოვნება და საგაზაფხულო არდადეგებზე სწორედ იმ დროს, როდესაც მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მიმდინარეობდა თავისი შემოქმედება მოსკოველ მაყურებელს უჩვენა; ანსამბლი დეკადის სრულუფლებიანი წარმომადგენელი არ იყო, მაგრამ მოსკოველმა მაყურებელმა მათი გამოსვლები არანაკლები სიხარულითა და აღტაცებით მიიღო. პიონერ-მოსწავლეებს ყველა ულოცავდა გამარჯვებას, ყველანი ერთხმად აღიარებდნენ: — ეს ხომ პატარების მიერ ნაჩვენები დიდი ხელოვნებაა!

თბილისელებმა მოსკოვში რამდენიმე კონცერტი გამართეს, ჰქონდათ შეხვედრები მოსკოვის პიონერთა საქალაქო სახლის ნორჩებთან, „პიონერსკაია პრავდას“, კომკავშირის უმაღლეს სკოლაში, სამხედრო ნაწილებთან, უმაღლეს პარტიულ სკოლაში... ამ ზაფხულს კი პიონერთა სასახლის ანსამბლი კიდევ ეწვია მოსკოვს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ხელმძღვანელობის მიწვევით. ამ შეხვედრათა აღმნიშვნელია სასახლის ერთ-ერთ დიდ და ნათელ ოთახში გამოფენილი ანსამბლის მიერ მიღებული ჯილდოები, რომლებითაც ისინი აღტაცებულმა მოსკოველებმა დაასაჩუქრეს.

პიონერთა სასახლის მხატვრული კოლექტივების ყოფილ წევრთაგან ბევრი უკვე ჩაება ჩვენი ქვეყნის ხალხთა შემოქმედებითი შრომის ფერხულში. სასახლეში მიიღეს მხატვრული წრთობა ქართული ცეკვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ოსტატებმა ე. ბურდულმა, შ. სამსონიამ, მ. საკოვმა, თ. ფანქველაშვილმა, შ. კობერიძემ და მრავალმა სხვამ. გასულ წელს მათ მეექვსე მსოფლიო ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა. ზოგიერთი უფრო შორს წავიდა. სასახლის მხატვრული კოლექტივების ყოფილმა წევრებმა კიკალეიშვილმა, კალაძემ და სხვებმა პარიზის დიდ დარბაზში „ალამბრაში“, მილანის „ტეატრო ნუოვოში“, რომში, ტურინში, პრაღაში სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლის სხვა წევრებთან ერთად მოხიბლეს მაყურებელი. პიონერთა სასახლეში ხშირად ყოფილან ფრანგი, იტალიელი და ჩეხი ტურისტებიც, რომლებიც აღტაცებაში მოუყვანიათ ნორჩ მოცეკვავეებს თავისი ხელოვნებით. და ვინ იცის, მათ შეიძლება პარიზში, რომში და პრაღაში ინახულეს სასახლის აღზრდილები.

პიონერთა სასახლის ბევრმა, ძალიან ბევრმა აღზრდილმა ისახელა თავი. ახლა კი მათი მომდევნო პატარებიც იმაზე ფიქრობენ, რომ ფრიადზე სწავლითა და მხატვრულ კოლექტივებში მოპოვებული წარმატებებით კვლავ და კვლავ ასახელონ თავისი აღმზრდელები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნარევი

## მჟავე მდინარე

არსებობს მჟავე მდინარე. წყალი ამ მდინარეში იმდენად მჟავეა, რომ შიგ ვერ ცხოვრობს ვერც ერთი თევზი და დასალევადაც უვარგისია. ეს მდინარე კოლუმბიაშია და მას რიო-ვინეგრე ეწოდება.

მეცნიერებმა გამოაკვლიეს რომ რიო-ვინეგრე შეიცავს სიმჟავეების ხსნარს. წყლის ყოველ ათას ნაწილში 11 ნაწილი გოგირდმჟავაა, 9 ნაწილი კი მარილმჟავა. მათი დასკვნით სიმჟავეების ასეთი რაოდენობა გამოწვეულია იმით, რომ მდინარის სათავესთან არის მოქმედი ვულკანი.

## მინიატურული ევროპის მშენებლობა

ავსტრიის ქალაქ კლანგენფურტას ახლოს ინჟინერმა ხარალდ ბეიერმა 1800 კვ. კილომეტრის ფართობზე დაიწყო „მინიატურული ევროპის" მშენებლობა. ამ ფართობზე მოთავსებული იქნება ევროპის ყველა მსხვილი ქალაქისა და ისტორიული ძეგლის მაკეტი 1:20 მასშტაბით. ფიქრობენ რომ „მინიატურულ ევროპის" მშენებლობას მოუნდება 30 თვე.

## გეიზერების ელექტროსადგურები

მექსიკაში მრავალი გეიზერია. ქვეყნის ელექტროფიკაციის კომისიამ შეადგინა ამ გეიზერების თბოენერგიის გამოყენების პროექტი. განზრახულია გათხარონ 10-12 ღრმა ჭაბურღილი. ახალი გეიზერების ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურების სიმძლავრე 250 ათასი კილოვატი იქნება.

## თარჯიმანი თუთიყუშებისათვის

ინგლისის ერთ-ერთი ზოოპარკის დირექციამ გაზეთებში მოათავსა განცხადება რომ მოლაპარაკე თუთიყუშებისათვის სჭირდებათ თარჯიმანი, რომელმაც კარგად უნდა იცოდეს ინგლისური და ჰოლანდიური ენები. ზოოპარკის დირექციამ სამხერთ ამერიკაში შეიძინა 12 თუთიყუში, რომლებიც ლაპარაკობდნენ მხოლოდ ჰოლანდიურად და დირექცია ვერ მიმხვდარიყო მათ „ლაპარაკს". მთარგმნელს უნდა გამოერკვია თუთიყუშების ლაპარაკში ხომ არ იყო რაიმე შეუსაბამო და შეურაცხმყოფელი ბრიტანეთის იმპერიისათვის.

## ვეშაპები პლიაჟზე

ფლორიდის სანაპიროს ერთ უბანზე, სასწრაფოდ გამოიწვიეს გადამრჩენელი რაზმი. პლიაჟზე იწვა ორმოცდაჩვიდმეტი ვეშაპი. მაშინვე შეუდგნენ ვეშაპების გადარჩენის ოპერაციას. გაცხელებულ ქვიშაზე სუნთქვაშეკრულ ვეშაპებს შემოაფარეს სველი ტილოები, მაგრამ მათი დაბრუნება უკან წყალში არც ისე ადვილი გამოდგა. ერთი ვეშაპი ძლივს ასწია რვა კაცმა. იძულებული იყვნენ პლიაჟზე მოეტანათ ამწე. ძალზე ჩქარობდნენ, მაგრამ ძლივს გადაარჩინეს მხოლოდ შვიდი ვეშაპი. დღევანდლამდე გაურკვეველია რატომ გამოირიყა ვეშაპები ნაპირზე.

## ურანი მდინარეში

ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა დოქტორ ხეხტმა ამას წინათ გამოაქვეყნა საინტერესო აღმოჩენა — დუნაის წყლებში ურანის „საბადოების" არსებობა. როგორც ანალიზებმა დაადასტურეს 1 ლიტრი დუნაის წყალი შეიცავს 1,7 მიკროგრამ წმინდა ურანს.

## ნავთის საწყობი ზღვის ფსკერზე

ამას წინათ პარიზში გამოგონებათა გამოფენაზე დემონსტრირებულიყო პლასტმასის ნავთის ბალონი, რომელიც იტევს 1 მილიონ ლიტრა ნავთს. ასეთი ბალონი არ იჭერს ადგილს მიწის ზედაპირზე, თავსდება ზღვის ფსკერზე და ხანძრისაგან გარანტირებულია. ბალონს პსკერზე იჭერს ღუზა. ბალონთან შეერთებულია შლანგი, რომლის საშუალებითაც ნავთი ადვილად შეიძლება გადაისხას გემის ბაკებში. ამისათვის არ არის საჭირო დგუში, რადგან ნავთი წყალზე მჩატეა და თავისთავად გამოდის ბალონიდან.



ლოთის სლალომი.
ნახატი-ხუმრობა გ. ფირცხალავასი.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისი. რუსთაველის პროსპექტი. ფერადი ფოტო გ. მიხაილოვისა.
მეოთხე გვერდზე: თბილისი. 1958 წლის სამრეწველო გამოფენის მთავარი პავილიონი.
ფერადი ფოტო თ. არჩვაძისა.

რედაქტორი გრ. აბაშიძე
სარედაქციო კოლეგია: შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, ს. დურმ-შ..ძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფა..იძე
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა ტექრედაქტორი დ. სეფიაშ...
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ.—რედაქტორის და პ/მგ. მდივნის—3-52-69, განყოფილებების—3-95-38
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XII-58 წ. გამომც. № 196. ქაღ. ზომა $70\times108^{1}/_{8}$. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი 25.000. შეკ. № 1281, უე 07751
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/ქ „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. 14.



ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტუ 104“-ის ფანჯრიდან

ფოტო გ. ვახტანგაძისა




ეროვნული ბიბლიოთეკა